თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ახალი კანონი მომხმარებლის უფლებებს უკეთ დაიცავს

იხილეთ მე-5 გვერდზე

მოქალაქეთა ჩართულობის ახალი ფორმები რეალური თვითმმართველობისთვის

იხილეთ მე-2 გვერდზე

№2 (741) 27 მარტი, 2016 წელი | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

ქუთაისში 270 მილიონიანი ინვესტიციით აიეტის ისტორიული ქალაქი გაცოცხლდება

ქუთაისის საკრებულოს სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ კომპანია "აია ინტერტაიმენტი" ქალაქში 270 მილიონი ევროს ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. ამ მიზნით, ქუთაისის პარლამენტის შენობის მომიჯნავე ტერიტორია, 75 ჰექტარ მიწის ნაკვეთი, ქუთაისის საკრებულომ ეკონომიკის სამინისტროს უკვე გადასცა.
კომპანიის წარმომადგენლის, ვახტანგ გაგნიძის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიწის გადაცემის ტექნიკური დეტალები ზუსტდება, პროექტი უკვე წარედგინა სახელმწიფო უწყებებს და მათი მხირდან მოწონებულია.
პროექტის მიხედვით, ქუთაისში სასტუმრო კომპლექსი, აკვა-პარკი, სამორინე, კინოთეატრი, სპორტული და გასართობი კომპლექსები განთავსდება. პროექტი 20 000 ადამიანზე გათვლილი სტადიონის მშენებლობასაც ითვალისწინებს. გარდა ამისა, ინვესტორ კომპანიას ეთნოგრაფიული მუზეუმის მსგავსი ზონის განვითარებაც სურს.
ცნობილია ისიც, რომ წარმოდგენილი პროექტები ექსკლუზიურია და ის უცხოეთში მოღვაწე ქართველმა გააკეთა, ხოლო ინვესტირებას შვეიცარული, ჰოლანდიური და ავსტრიული კომპანიები განახორციელებენ, თუმცა მათი კონკრეტული სახელწოდებები ჯერ არ ხმაურდება. პროეტქი ქუთაისის გარდა, სამტრედიაში 16 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ათვისებას და საჩხერეში საწარმოს განთავსებასაც ითვალისწინებს.
პროექტის ტურისტული ნაწილი ქუთაისის უძველეს სახელთან, აიეტთან და არგონავტების მითთან არის დაკავშირებული. კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ პროექტს მიწის გადმოცემიდან 5 წელში სრულად განახორციელებს.

ჩვენ არ ვითვლით ქრონოსობებს!

ქუთაისის ახალგაზრდულმა ცენტრმა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღნიშნა. სპეციალურად ამ დღისთვის ახალგაზრდულმა ცენტრის წევრებისათვის გაიმართა სემინარი, რომელსაც მოწვეული ექსპერტი ნატო ქობულაძე უძღვებოდა. ცენტრის წევრები ასევე ეწვივნენ შშმ ბავშვთა დღის ცენტრს, სადაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან ერთად განახორციელეს სხვადასხვა სახის შემეცნებით-საგანმანათლებლოაქტივობები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუნის სინდრომის დღე ოფიციალურად 2012 წელს აღიარა. 2012 წლის 21 მარტს გაეროს შტაბ ბინაში, ნიუ იორკში გაიმართა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია „ჩვენი მომავლის შენება".

ღონსძიებები ორგანიზებული იქნა ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორია ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი.

ბილაინის აბონენტები ულიმიტო 4G ინტერნეტს თვეში მხოლოდ 5 ლარად მიიღებენ!

აქცია „ულიმიტო ინტერნეტის“ გასააქტიურებლად აბონენტმა უნდა აკრიფოს ***120*16#.**

მოქმედების ვადაა 30 დღე.

PS news.ge

ISSN 1987-7056

მოქალაქეთა ჩართულობის ახალი ფორმები რეალური თვითმმართველობისთვის

თვითმმართველობა მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმაა და იგი საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება.

2014 წლის ზაფხულში ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ინიციატივით შექმნილმა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ხედვა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ. ამ ხედვების ნაწილის გათვალისწინებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაძლიერებლად, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 22 ივლისს მიიღო.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, კანონით განსაზღვრულ ფორმებს _ პეტიცია; მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიის სხდომებში მონაწილეობა; მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა, დაემატა ახალი ფორმები: დასახლების საერთო კრება და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.

გამგებლებთან/მერებთან არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და ადგილობრივ მაწარმეებთან მუნიციპალიტეტის თანამშრომლობას; დასახლების მცხოვრებლებს კი, საერთო კრებებზე შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე დასვან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მათ გადაწყვეტაში.

დასახლების საერთო კრება

კანონით განსაზღვრულია საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი იმ დასახლებებისთვის, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება.

იმ დასახლებისთვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება, რთულია მთელი მოსახლეობის საერთო კრების ორგანიზება; ამიტომ, საკრებულომ შეიძლება დააწესოს დასახლების ცალკეულ ნაწილებში კრების ეტაპობრივად მოწვევის პროცედურა.

დიდ დასახლებაში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილებით განსაზღვრავს საერთო კრების უფლებამოსილებებს, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესს, აგრეთვე შეუძლია, ამ დასახლებაში შექმნას რამდენიმე საერთო კრება.

კრების წევრები

კანონის შესაბამისად, საერთო კრების წევრად მიჩნეულია დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი, თუმცა, სათათბირო ხმა შეიძლება ჰქონდეთ დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეებს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირებსაც.

ვინ არის რჩეული

კრების წევრები საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ რჩეულს. კანდიდატურის დასახელების უფლება წევრთა არანაკლებ 5%-ს აქვს. რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს კრების ცალკეულ დავალებებს. რჩეულს უფლებამოსილება აქვს მომდევნო კრების ჩატარებამდე და ის ავტომატურად გრძელდება, თუ ახალი რჩეული არ აირჩიეს. უფლებამოსილების ავტომატურად გაგრძელება შეიძლება ზედიზედ არაუმეტეს 5-ჯერ, შემდეგ კი აუცილებლად ახალი პირი უნდა აირჩეს.

რა საკითხები განიხილება საერთო კრებაზე

საერთო კრებაზე განიხილება დასახლების მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები, მიმდინარე პროექტები და მზადდება შესაბამისი წინადადებები მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად, ასევე, დასახლების ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტები ჯერ კიდევ ადგილობრივ ბიუჯეტში მათ ასახვამდე, რათა მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები.

კრებაზე ხდება დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება, მაგალითად, ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში ადგილობრივი მოსახლეობის მოხალისეობრივი ჩართვა.

მუნიციპალური ორგანოების ინიციატივით, კრებამ შეიძლება განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი; იმსჯელოს დასახლების საზღვრების დადგენასა და შეცვლაზე, აგრეთვე, ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელსაც გამგებელი/მერი გამოიტანს საერთო კრებაზე მსჯელობისთვის. შეუძლია საკუთარი სახელით პეტიცია წარუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და, ასეთ შემთხვევაში, მასზე ხელმოწერების შეგროვება აღარაა საჭირო.

კანონი მუნიციპალიტეტის ორგანოებს ავალდებულებს, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილებები და დასაბუთებული პასუხი, კანონით განსაზღვრულ ვადებში, აცნობოს საერთო კრების წევრებს ან რჩეულს.

ვის აქვს საერთო კრების მოწვევის უფლება

საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს როგორც საერთო კრების რჩეულს, ასევე დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩევლებს და მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით.

თუ საერთო კრების მოწვევა დასახლების მცხოვრებლებს სურთ, მაშინ იქ რეგისტრირებული არანაკლებ სამი ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი და გამგებელს/მერს წარუდგენს განცხადებას, რომელსაც თან დაურთავს დღის წესრიგს. მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია ამ ინიციატივას არეგისტრირებს და 3 სამუშაო დღის ვადაში საინიციატივო ჯგუფს მისცემს რეგისტრაციის ცნობას, ხოლო რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციას და საერთო კრების დღის წესრიგს საჯაროდ გამოაქვეყნებს.

რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან, საინიციატივო ჯგუფი იწყებს საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მხარდამჭერი ამომრჩევლების სიის შედგენას და მათი ხელმოწერების შეგროვებას. ერთი თვის ვადაში საინიციატივო ჯგუფმა გამგებელს/მერს უნდა წარუდგინოს განცხადება საერთო კრების მოწვევის შესახებ, სადაც აღნიშნული იქნება კრების ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი, და თანდართული ექნება დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერებიანი სია.

განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე გასცემს კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობას, რის შემდეგაც საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს. საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე. ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგის, მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, მუნიციპალიტეტმა 3 დღის ვადაში საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს.

როცა კრებას იწვევს რჩეული ან გამგებელი/მერი, ასეთ ინიციატივას რეგისტრაცია და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება არ ესაჭიროება, მაგრამ კრების დღის წესრიგის, მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება და საჯაროდ ქვეყნდება. მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს უფლება არ აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის გადარჩევის საკითხი.

საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას და მისი მოწვევის შესახებ ინფორმაციის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე, თუ მანამდე არჩეული იყო _ საერთო კრების რჩეული.

იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია, წელიწადში არანაკლებ ორჯერ უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა.

საერთო კრება უფლებამოსილი რომ იყოს, მას უნდა ესწრებოდეს საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%. საინიციატივო ჯგუფის მიერ კრების მოწვევის შემთხვევაში, საერთო კრების საქმიანობას წარმართავს ამ ჯგუფის ის წევრი, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია მითითებული, ხოლო მისი არყოფნისას – ჯგუფის სხვა წევრი ან, ჯგუფის თანხმობით, მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის უფლებამოსილი მოხელე, ხოლო კრების ოქმის შემდგენი მდივნის ფუნქციას ასრულებს საინიციატივო ჯგუფის რომელიმე წევრი. თუ საერთო კრება მოიწვია გამგებელმა/მერმა, მაშინ კრების საქმიანობას წარმართავს და ოქმს ადგენს გამგეობის/მერიის უფლებამოსილი მოხელე.

ამგვარად ხდება იმ შემთხვევებში, როცა კრება პირველად იკრიბება ან არ მომხდარა რჩეულის არჩევა. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების საქმიანობას ის წარმართავს, საერთო კრების მდივნის ფუნქციასაც თავად, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ასრულებს.

როგორ იღებს კრება გადაწყვეტილებას

დასახლების საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება, მაგრამ კრებას შეუძლია დაადგინოს კენჭისყრის სხვა ფორმაც. საერთო კრების ეტაპობრივად, დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას, ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა.

საერთო კრებაზე დგება ოქმი, სადაც უნდა იქნას შეტანილი მისი ნომერი, კრების გამართვის თარიღი და ადგილი, დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა, ყველა განხილული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება, და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. კრების წარმმართველი პირი ოქმის ასლს მისი გამართვიდან 7 დღის ვადაში წარადგენს მუნიციპალიტეტის გამგეობაში/მერიაში, რომელიც ვალდებულია ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში ის საჯაროდ გამოაქვეყნოს.

კანონის შესაბამისად საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები, როგორიცაა დასახლების ნაწილებში მისი გამართვის, საკითხების ინიცირების, მათი განხილვისა და კენჭისყრის გამართვის პროცედურები, რჩეულისა და მდივნის უფლებები და მოვალეობები, რჩეულის არჩევის პროცედურა და ა.შ., რეგულირდება საერთო კრების ტიპური დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღებიდან 8 თვეა გასული, ჯერჯერობით არცერთ სოფელში არ გამოუთქვამს მოსახლეობას შეკრების და პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების სურვილი. საზოგადოების ნაწილმა კი, დღემდე არ იცის რა შეიძლება მოთხოვოს ადგილობრივ ხელისუფლებას და შეუძლიათ თუ არა მათ მონაწილეობა მიიღონ პრობლემის გადაწყვეტაში.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც რეგიონებში იკვლევენ მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებლებს, ამბობენ, რომ საზოგადოების პასიურობა, ერთი მხრივ, მოსახლეობის ინდიფერენტულობითა და ინფორმაციის ნაკლებობით, მეორე მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ უიმედობით არის გამოწვეული.

ცენტრალურ ხელისუფლებაში კი იმედოვნებენ, რომ მოქალაქეები ჩართულობის ახალ ფორმებს გამოიყენებენ, აქტიურად ჩაერთვებიან პრობლემების გადაწყვეტაში და მათ ამაში ადგილობრივი ხელისუფლებაც ხელს შეუწყობს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია მომზადებულია პროექტის _
"თვითმმართველობაში სოფლის მოსახლეობის ჩართვის მხარდაჭერა".
პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება _ საქართველო".
შინაარსზე პასუხისმგებელია "საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი".

ფერმიდან სუფრამდე

№ 5 - 6.01. 2016

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

რატომ უნდა მოვითხოვოთ ეტიკეტირებული პროდუქტი

ეკა ბარამიძე, გაზეთი „ბათუმელები„

სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური ¬რეგლამენტის მიხედვით, ეტიკეტის გარეშე შეფუთული პროდუქციის გაყიდვა აკრძალულია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნის დაცვას კანონი ბიზნესოპერატორებს წლებია ავალდებულებს, ბევრ სავაჭრო ადგილზე რძის ნაწარმი კვლავ ეტიკეტის გარეშე იყიდება. მომხმარებელი იძულებულია, პროდუქტის შერჩევისას მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას ენდოს.

რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ეტიკეტზე მითითებული დასახელება: რძე, არაჟანი, ხაჭო, დო, კარაქი, ყველი და სხვა, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ რძის ნაწარმზე. ხოლო თუ რძის ნაწარმს დამატებული ექნება მცენარეული ცხიმები, მას უნდა გაუკეთდეს შესაბამისი მინაწერი და უნდა აღინიშნოს - კარაქისებრი, არაჟნისებრი, ან კარაქის მსგავსი, არაჟნის მსგავსი პროდუქცია.

ეტიკეტი ისე უნდა იყოს მიმაგრებული პროდუქტზე, რომ არ მოშორდეს, არ წაიშალოს, იყოს ადვილად კითხვადი და შეიცავდეს სრულ ინფორმაციას, თუ რისგან შედგება ესა თუ ის პროდუქტი.

რძისა და რძის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ჰიპერმარკეტებში, სუპერმარკეტებში, მაღაზიებსა და სხვა სარეალიზაციო ობიექტებში დახლზე სარეალიზაციოდ განთავსებული პროდუქციის შემოწმება ხდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.

გარდა ამისა, ტექნიკური რეგლამენტი მოითხოვს HACCP, ანუ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვას იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც ახდენენ ნედლი რძის თერმულ (თბურ) დამუშავებას. ეს სიტემა უწყვეტი პროცესია. იგი მოიცავს ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას მიკვლევადობის პროცესის დასანერგად.

რა ვალდებულებება უნდა შეასრულონ მეწარმეებმა ამ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ?

მეწარმე არკადი კახაძე გვიამბობს საკუთარი რძის გადამამუშავებელი საწარმოს შესახებ, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს თანადაფინასებით ორი თვის წინ მოაწყო. მშენებლობის პროცესი და საწარმო დანადგარები HACCP სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნებით ააშენა და გამართა. საწარმო ამ დროისთვის ყველს, კარაქს და ადგილობრივ ტრადიციულ პროდუქტს - კაიმაღს აწარმოებს. რძის პროდუქტების მწარმოებელი დამწყები ბიზნესოპერატორი ამბობს, რომ ეს რეგულაცია, პირველ რიგში, მომხმარებლის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს, რაც თავისთავად გულისხმობს მომხმარებლის ჯანმრთელობას და სიცოცხლის დაცვას.

მეწარმე აღნიშნავს, რომ საკუთარ წარმოებულ პროდუქციას თავადაც მიირთმევს და მისთვის, როგორც მომხმარებლისთვის, მნიშვნელოვანია იცოდეს თუ რამდენად უსაფრთხოა ეს პროდუქტი ჯანმრთელობისათვის. `**თუკი მეწარმე პროდუქტს რეგულაციით გაწერილი მოთხოვნის შესაბამისად აწარმოებს, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ნაწარმი უვნებელია და ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის. მწარმოებლისთვის მომხმარებლის ნდობა მნიშვნელოვანია და მოტყუება დანაშაულია, - ამბობს ის.**

„მომხმარებელი არ უნდა შეიყვანო შეცდომაში და ეტიკეტზე გაკეთებული წარწერა უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის შემადგენლობას. ხარისხი მარტივად დგინდება ლაბორატორიული ანალიზით. ამიტომ ყველას ინტერესშია პროდუქცია იყოს ჯანსაღი და უვნებელი.“

> **ბიზნეოპერატორი ვალდებულია აწარმოოს უვნებელი სურსათი და დააკმაყოფილოს ამ მიმართულებით არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები. ნებისმიერი პირი, ვისაც ბაზარზე გამოაქვს პროდუქტი, ვალდებულია აწარმოოს უვნებელი სურსათი.**

მეწარმე მიიჩნევს, რომ რეგულაცია ფერმერებს, რომლებიც რეგისტრირებული მწარმოებლები არ არიან და სახლში დამზადებულ რძის პროდუქტებს: ყველს, კარაქსა თუ მაწონს ყიდიან, ასევე უნდა ავალდებულებდეს უვნებელი პროდუქტის წარმოებას. „საოჯახო პირობებში წარმოებულ პროდუქტს ასე მარტივად გასაყიდად ბაზარზე ვეღარ გაიტანენ, ამიტომ ფერმერებს გაერთიანებისკენ და წარმოების განვითარებისკენ უბიძგებს“ - აცხადებს მეწარმე.

ეხებათ თუ არა ეტიკეტირების წესი საოჯახო მწარმოებლებს?

მეწარმეებისგან განსხვავებით, ფერმერები, რომლებიც საკუთარ მეურნეობებში მცირერიცხოვან პროდუქციას აწარმოებენ, ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან. ზევრმა საერთოდ არაფერი იცის რეგულაციის შესახებ და პროდუქტების გაყიდვას ეტიკეტირების გარეშე, სტიქიურად ახდენენ.

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჯემალ ბერიძე, რომელიც რძის პროდუქტების საოჯახო წარმოებას ეწევა, ამბობს, რომ კანონის შესახებ არაფერი სმენია.

„წლებია სახლში ვამზადებთ ყველს, კარაქს, ნადუღს, მაგრამ ბაზარზე თითქმის არასდროს გამიტანია გასაყიდად. ჩემს პროდუქტს ერთგულ მომხმარებლებზე ვყიდი და მათ მიაქვთ. ბაზარზე რომ გავიტანო, გადამყიდველებს უნდა მივყიდო, ეს კი ნაკლებად მომგებიანია. აქამდე არ ვიცოდი, რომ ჩვენნაირ საოჯახო მწარმოებელს ეს წესი ეხება და ჩემს პროდუქტებს ეტიკეტი უნდა გააჩნდეს,“ - ამბობს ფერმერი.

რა არის გამოსავალი?

კახა სოხაძე - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი განმარტავს, რომ 2020 წლამდე საოჯახო ტიპის რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაზე სურსათის უვნებლობაზე კონტროლი არ განხორციელდება, თუმცა აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ტექნიკური რეგლამენტი უკვე ავალდებულებს რეალიზატორისვალდებულია გასაყიდ ობიექტში არსებულ შეფუთულ პროდუქტს ეტიკეტი გააჩნდეს.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

ინტერვიუ

მარნეულსა და რუსთავში ბიო-უსაფრთხოების პუნქტები გაიხსნა

ახალი ამბები
მარნეული

ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტსა და რუსთავში ცხოველთა გადასარეკი ტრასის ორი ბიო უსაფრთხოებისპუნქტის მშენებლობა დასრულდა, რაც მეცხოველეობის დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

მშენებლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO) მიერ დაფინანსებული და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის“ მიერ განხორციელებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ (ALCP) ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობდა.

„მეცხოველეობის დარგის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. დაიწყო პირუტყვის გადასარეკად საჭირო ინფრასტრუქტურის აღდგენა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ არსებობდა. ბიოუსაფრთხოების პუნქტები ხელს შეუწყობს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და შეამცირებს დაავადების გავრცელების რისკს.,- განაცხადა მინისტრმა ოთარ დანელიამ.

„მეცხვარეობა **საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი სექტორია, რომელსაც განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. შვეიცარიის მიერ დაფინანსებული ეს პროექტი წარმოადგენს სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხოველთა მიკვლევადობისა და იდენტიფიცირების შესახებ ერთიანი მიდგომის მნიშვნელოვან ელემენტს,“** - აღნიშნა სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომობის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა, ოლივიე ბურკმა.

ბიო უსაფრთხოების პუნქტი გულისხმობს შემოღობილ, ბეტონის საფარით მოწყობილ ტერიტორიას, სადაც განთავსებული იქნება პირუტყვის სადეზინფექციო გასაბანი აუზები, სადეზინფექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი. თითოეულ პუნქტზე დღეში საშუალოდ 8 000 ცხვარი გაიბანება.

ქვეყნის მასშტაბით სულ ბიოუსაფრთხოების 6 პუნქტი მოეწყობა. მარნეულისა და რუსთავის გარდა, უახლოეს მომავალში დასრულდება პუნქტის მშენებლობა დედოფლისწყაროში, მომავალი წლის პირველ კვარტალში - სიღნაღში. შემდეგ თელავსა და ბოლნისში. ოთხივე პუნქტს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ააშენებს.

ბიო უსაფრთხოების პუნქტების მოწყობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამას“ შორის გასული წლის მარტში გაფორმდა.

სასარგებლო რჩევები

პურის შენახვის ვადა და პირობები

• თუ შეუფუთავი პური შეიძინეთ, გირჩევთ, სანამ მოიხმართ, ცეცხლის ალზე გადაატაროთ - სამწუხაროდ არ არის გამორიცხული, რომ პურისთვის მაღაზიაში ან გადაზიდვისას ჭუჭყიანი ხელი მოეკიდათ, ცეცხლით მოწვა კი პურის კანზე შერჩენილ ბაქტერიებს უცბად გაანადგურებს.

• არ შეინახოთ პური პოლიეთილენის პარკში. პურიდან აორთქლებული წყლის ხარჯზე პარკში წარმოიქმნება მაღალი ტენიანობა, რაც დაობებას უწყობს ხელს;

• პური შეინახეთ ხის, მინანქრის, ან სპეციალურ ''საპურე'' კონტეინერში. კვირაში ან 10 დღეში ერთხელ მაინც პურის შესანახი გარეცხეთ თბილი ძმარიანი წყლით და გააშრეთ;

• იმისათვის, რომ პურის შესანახ ჭურჭელში ობი არ წარმოიქმნას:

o ჩადეთ რამდენიმე ფენა დოლბანდში გახვეული მდოგვის ფხვნილი;

o ჩადეთ მარილი, რომელსაც დატენიანებისთანავე გამოცვლით;

o ჩადეთ რამდენიმე აბი ნახშირი, რომელიც ასევე შთანთქავს ტენსა და უცხო სუნს.

• არ შეინახოთ ერთად ხორბლის და ჭვავის პური. ჭვავის პურის ტენიანობა უფრო მაღალია და შესაბამისად იგი უფრო სწრაფად ობდება;

• გაითვალისწინეთ, მაცივარში პური უფრო სწრაფად ძველდება, ვიდრე გარეთ. თუ პურს მაცივარში ინახავთ, ჯობს შეინახოთ საყინულეში. გალღობის შემდეგ პური აღიდგენს ახალს თვისებებს.

წყარო: **momxmarebeli.ge**

ფერმიდან სუფრამდე

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

რა საფრთხეს შეიცავს პესტიციდების უკონტროლო გამოყენება

მაკა ხაზიური, გაზეთი „კახეთის ხმა„

რა გავლენას ახდენს უხარისხო პესტიციდების გამოყენება პროდუქტის ხარისხზე და რა შედეგები მოყვება მის უსისტემო გამოყენებას? არის თუ არა კავშირი პესტიციდებსა და სურსათის უვნებლობას შორის? სპეციალისტთა შეფასებით, სასარგებლო ხილბოსტნეული მავნე პროდუქტად მაშინ გარდაიქმნება, როცა ფერმერი მათი მოყვანის დროს სასუქებსა და პესტიციდებს არასწორად იყენებს.

საქართველოში ყოველწლიურად 1000-ზე მეტი დასახელების პესტიციდი და აგროქიმიკატი შემოდის. იმის გამო, რომ სახელმწიფოს აღნიშნული პრეპარატების ხარისხის დასადგენად სპეციალური ლაბორატორია არ აქვს, ქიმიკატების ხარისხი მთავრობასასურსათის ეროვნულ სააგენტოსა და კერძო ლაბორატორიას, ,,მულტიტესტის" ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ეტაპობრივად მოწმდება.

მომხმარებელი ნუნუ კობახიძე გვიამბობს, რომ მისი 5 წლის შვილიშვილი ადგილობრივი მარწყვით მოიწამლა. „იმდენ შხამებს ასხამენ მცენარეს, რომ არავინ ვართ დაცული. არც პროდუქტები მოწმდება, ამის გამოა, რომ ბავშვმა მარწყვი ჭამა და ისეთი მძიმე მოწამლვა დაფიქსირდა, ძლივს გამოჯანმრთელდა. ბოსტნეულით რამდენჯერმე მეც მოვიწამლე, იმიტომ არის ალერგია და ათასი საშინელება".,- ამბობს კობახიძე.

პესტიციდები მცენარეთა დაავადებებისადმი გამძლეობისა და ხარიხსხიანი პროდუქციის წარმოებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცა მისი არასწორი და ზედმეტი გამოყენება პროდუქტზე აისახება და ადამიანის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის. პესტიციდების არასწორი გამოყენებით საფრხე ადამიანის ჯანმრთელობასთან ერთად ბიო სისტემასაც ემუქრება.

კახელი ფერმერების და მევენახეების თქმით, პესტიციდების უხარისხობის გამო ვაზსა თუ ხეხილზე წამლის დასხურების შემდეგ დაავადება არ ქრება, რაც მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე აისახება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში მცხოვრები ფერმერი ნიკოლოზ გილიგაშვილი ამბობს, რომ გასულ წელს ,,ხუჭუჭამ" ატმის ბაღის 90% დაუზიანა. მისივე თქმით, მოსავლის გადასარჩენად მან ატმის ბაღი სამჯერ შეწამლა, თუმცა უხარისხო შხამ-ქიმიკატების გამო დაავადება მაინც გავრცელდა. იგივე ეხება მარწყვის ბაღსაც.

,,ყველანაირი საშუალება ვცადე ატმის გადასარჩენად მაგრამ არაფერი ეშველა. სამჯერ მაქვს მოწამლული ქიმიკატებით, მაგრამ ტყუილად. მაინც დაზიანდა ფოთოლი და ნაყოფიც გასცვივდა,"- აცხადებს ნიკოლოზ გილიგაშვილი.

ამბობენ, რომ ფერმერები უხვი მოსავლისთვის ქიმიკატებს უსისტემოდ და არასწორად მოიხმარენ, რის გამოც, პროდუქციაში არაორგანული ნივთიერება ხვდება, რაც ჯანმრთელობას საფრხეს უქმნის.

სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მთავარი აგრონომი თამაზ ხასაია მწარმოებლებს ურჩევს: პესტიციდების გამოყენების შედეგად მაქსიმალური ეფექტის მიღებისა და მათი უსაფრთხო მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით ფერმერისათვის აუცილებელია გააჩნდეს ინფორმაცია პესტიციდით მოწამვლის თავიდან აცილების და მოწამვლის შემთხვევაში მისაღები აუცილებელი ზომების შესახებ.

,,პესტიციდის შერჩევისას საჭიროა განისაზღვროს, გამართლებულია თუ არა მის შესაძენად საჭირო ხარჯის გაწევა. ანუ რა უფრო მომგებიანია – ქიმიური წამლობის ღირებულების გაღება და ამით მოსავლის გაუმჯობესება თუ თანხის დაზოგვა წამლობაზე და შედარებით ნაკლები მოსავლის მიღება, - ამბობს აგრონომი.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ნიკოლოზ სულხანიშვილი ამბობს, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ ფერმერების ინფორმირება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად და ფერმაში კონკრეტული პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეფასება და ამ დიაგნოზის შესაბამისად დაინიშნოს მცენარის მკურნალობა.

,,საჭიროა ინფორმაცია ფერმერებამდე აღწევდეს, მართალია შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, თუმცა მაგალითად, თელავში ასეთ სამსახურში არცერთი აგრონომი არ ყავთ. კარგი იქნება თუ აღნიშნულ სამსახურს დაემატება პრაქტიკოსი აგრონომი სპეციალისტები და მეცნიერები რომლებიც ადგილზე შეისწავლიან ყველა წამოჭრილ პრობლემას და მიაწვდიან ინფორმაციას იმ საფრხეების შესახებ, რასაც პესტიციდების უსისტემო გამოყენება გამოიწვევს, "- ამბობს ნიკოლოზ სულხანიშვილი.

საქართველომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში პესტიციდების მდგრადი გამოყენების საკითხი ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პესტიციდებისა და აგროქიმიური საშუალებების სამმართველოს უფროსი მარინა ღვინეფაძე აცხადებს, რომ **,, საშიში პესტიციდები ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ და მათ მაგივრად ნაკლების რისკის მქონე პესტიციდები დავნერგოთ. ევროკავშირის დირექტივა 128-2009** არეგულირებს პესტიციდების რეგისტრაციის, იმპორტის, განთავსების, შენახვის, შეფუთვის, გაყიდვის და გამოყენების წესებს. ეს რეგულაცია მოითხოვს, რომ სოფლის მეურნეობაში დაინერგოს მცენარის ინტეგრირებული დაცვის - აგროტექნიკური, მექანიკური, ფიზიკური, სელექციური და ბიოლოგიური მეთოდები. ამ მეთოდების ხარჯზე უნდა შემცირდეს ქიმიური ნივთიერებების გამოყენება და ამით შევამციროთ ის რისკი, რომელიც ამ ნივთიერებების მეშვეობით ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს ადგება. "

ევროკომისიის რეგულაციებს რომ დავუახლოვდეთ, ამისთვის **10-წლიანი პერიოდი გვაქვს. რეგულაციები რომ შესრულდეს, საჭიროა ფერმერების ინფორმირება და სპეციალისტების მომზადება. ბოლო დროს აგრონომები და მცენარეთა დამცველები აღარ მზადდება. ამ დროს ჩვენს უწყებაში ძალიან ცოტა სპეციალისტია. ვეძებთ ახალგაზრდებს. სამწუხაროდ, მათ უმეტესობას შესაბამისი განათლება არა აქვს".**

რატომ უნდა მოვითხოვოთ ეტიკეტირებული პროდუქტი

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

იმ შემთხვევაში, თუ ფერმერი ვერ აკმაყოფილებს რეგლამენტით გაწერილ მოთხოვნებს, შეუძლია ნედლი რძე რძის საწარმოში ჩააბაროს და ის დამატებითი დანახარჯები შეამციროს, რაც სჭირდება ყველის საწარმოებლად მაგ: ბუნებრივი აირი, შეშა, ყველის დედო, მარილი და აშ. რაც არის საჭირო.

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ" არსებული ტექნიკური რეგლამენტი არა მარტო არეგულირებს მოთხოვნებს რძისა და რძის ნაწარმის მიმართ, არამედ აწესრიგებს ურთიერთობებს ბიზნეს ოპერატორს, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსა და მომხმარებელს შორის, რაც ერთგვარ ჯაჭვს ქმნის.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის სამსახურის უფროსი ილია სირაბიძე აცხადებს, რომ რძისა და ხორცპროდუქტების ხარისხსა და ვარგისიანობაზე კონტროლს სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი პროდუქტი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად არ იქნება წარმოებული და ეტიკეტირებული, მწარმოებელი დაჯარიმდება.

თუ რძეს ან რძის ნაწარმს არ აქვს ეტიკეტი, ან ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება პროდუქტის შემადგენლობას, მწარმოებელი ბიზნეოპერატორი პირველად ჯარიმდება 400 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო მეორე ეტაპზე 1200 ლარით. იგივე მოთხოვნა ვრცელდება რესტორნების, სასტუმროების, კაფეებისა და სხვა სწრაფი კვების ობიექტებზეც.

სამსახურის უფროსი აქვე განმარტავს, რომ ინფორმაციის მიწოდებისთვის სააგენტო სისტემურად მუშაობს: **,,სურსათის ეროვნული სააგენტო სისტემატურად მართავს შეხვედრებს დაინტერესებულ პირებთან, მზადდება ასევე საინფორმაციო ვიდეორგოლები, ბუკლეტები, ბროშურები...ყოველ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას წინ უძღვის შეხვედრები ბიზნესოპერატორებთან. ეს არის უწყვეტი პროცესი, რაც მომავალშიც გაგრძელდება,"** - აცხადებს სირაბიძე, თუმცა მწარმოებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ფორმით ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ზღვაში წვეთია. ინფორმაცია მხოლოდ მცირე ჯგუფებისთვის არის ხელმისაწვდომი, რაც საკითხის გადაჭრისთვის არასაკმარისია.

მანამდე, ვიდრე სახელმწიფო უწყებების მხრიდან სურსათის კონტროლი სრულად იქნება უზრუნველყოფილი, მომხმარებელმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად უნდა იზრუნოს, რომ სამომხმარებლო კალათში მხოლოდ უვნებელი პროდუქტი მოხვდეს. კარგად დააკვირდეს პროდუქტის ხარისხს.

მომხმარებელთა საყურადღებოდ:

- სპეციალისტები გვირჩევენ, რომ პროდუქციის შეძენისას მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს პროდუქტის ეტიკეტს, ვარგისიანობის ვადას, შენახვის პირობებს, ტემპერატურას და ასევე გარემოს, როგორ ჰიგიენურ პირობებში იყიდება პროდუქტი.
- არ შეიძინოთ რძისა და რძის ნაწარმი ქუჩებსა და დაბინძურებულ გარემოში. საკვები პროდუქტები უნდა ინახებოდეს ქიმიური საშუალებებისაგან განცალკევებულად.
- მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყიდულობს უვნებელ სურსათს. მეზობლისაგან შეუმოწმებელი რძის ნაწარმის ყიდვისაგან მომხმარებელს თავის შეკავებას ვურჩევთ, თუკი ის ვერ დაარწმუნებს მყიდველს მისი კუთვნილი პროდუქტის უვნებლობაში. სოფლის მეურნეობის საკითხებზე, კანონმდებლობაზე და სხვა სიახლეების გასაცნობად ფერმერმა, მეწარმემ უნდა მიმართოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცენტრებს, რომელებიც მდებარეობენ მუნიციპალიტეტებში, ასევე სოფლის მეურნეობის ექსტენციის ცენტრებს.

ევროპის ფონდი
GRMA
SWEDEN
გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ „ევროპის ფონდის" დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევროპის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

12 ნაბიჯი საფრინველის გასაწმენდად

სახარებლო რჩევები

1. დაიწყეთ ბრძოლა ისეთი მწერების წინააღმდეგ, როგორიცაა შავი ხოჭოები, მატლები, ინსექტიციდების მოფრქვევით კედლებზე, კედლებსა და იატაკს შორის ნაწიბურებში და ნაპრალებში ბეტონის იატაკებზე. ქვეშსაფენი (ნაკელი) უნდა მოაშოროთ იატაკსა და ნაპრალებს. ხოჭოები და მატლები დაიმალებიან არა მხოლოდ ჭერში, არამედ ნაპრალებში ბეტონის იატაკის ქვეშ ან იატაკისხვრელებში.

2. საფრინველის ინტერიერთან დაკავშირებული მომსახურე პერსონალის ოთახები, ჰიგიენური ბარიერი და სხვა ოთახები უნდა გაიწმინდოს და დასუფთავდეს სათანადოდ.

3. საკვებურები უნდა დაიცალოს სრულად. საკვების ნარჩენები უნდა იქნეს გატანილი, ხოლო საკვების მიმწოდებელი აღჭურვილობა უნდა გაიწმინდოს.

4. აღჭურვილობა, რომლის გაწმენდა შეუძლებელია ადგილზე, მაგრამ დაშლაც შესაძლებელია, გატანილ უნდა იქნეს საფრინველედან და დროებით მოთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც მისი გაწმენდა იქნება შესაძლებელი. დარწმუნდით, რომ ასეთი ადგილი უზრუნველყოფილია წყალგამშვებით, რომელიც არ უკავშირდება საფრინველეს.

5. გაიტანეთ ნაგავი (ქვეშსაფენი, ნაკელი) და მოათავსეთ ის ფერმის ტერიტორიის გარეთ. თუ არ ხერხდება ნაგვის გატანა ფერმის ტერიტორიიდან, დაუყოვნებლივ დააფარეთ და გადაამუშავეთ მაქსიმალურად სწრაფად.

6. აუცილებელია სახურავის ვენტილატორების მოხსნა სათავსოების და სავენტილაციო შახტების გაწმენდის მიზნით. კედლის ვენტილატორები უნდა გაიწმინდოს დემონტაჟის გარეშე, მაგრამ აუცილებელია გამწმენდი წყლისა და ჭუჭყის ეფექტურად მოშორება.

7. ჰაერის შემწოვი სარქველები და შახტები ხშირად ძნელი მისადგომია, მაგრამ აუცილებელია მათი გაწმენდა შიგნიდან და გარედან. გარედან გაწმენდა მნიშვნელოვანია, რადგან მტვერმა დაბინძურებასთან ერთად შესაძლოა ადვილად შეაღწიოს შიგნით.

8. როდესაც შეუძლებელია აღჭურვილობის გაწმენდა წყლით, აუცილებელია მისი მშრალი მეთოდით გასუფთავება და პლასტმასის დაფარება დასაცავად.

9. დაასუფთავეთ საფრინველე, როდესაც ის ჯერ კიდევ მშრალია და მოაშორეთ ნარჩენი ფეკალიები და სხვა ორგანული ნივთიერებები.

10. გაწმინდეთ სასმელი წყლის სისტემა გამდინარე წყლის ნაკადით და ჩაასხით შესაბამისი გამწმენდი ნივთიერება, შემდეგ დატოვეთ სათანადო საკონტაქტო დროის განმავლობაში ეფექტური შედეგის მიღებისთვის.

11. ბეტონის იატაკის შემთხვევაში: დაასველეთ და გააჩერეთ სულ მცირე 3 საათის განმავლობაში წყალი სარეცხი/საწმენდი საშუალებით და გაწმინდეთ მაღალი წნევის მილით.

12. ჭერი, საავენტილაციო შახტები და კედლები უნდა დამუშავდეს სარეცხი/საწმენდი საშუალებით (ქაფი, რომელიც უფრო დიდ ხანს მიეკრობა ზედაპირს და შესაბამისად უფრო ეფექტური საშუალებაა). დაახლოებით 30 წუთის შემდეგ ჩამორეცხეთ წყლით ჭერი და შახტები, მუშაობის დროს ზევიდან ქვევით.იატაკები, საკვები და წყლის მიწოდების სისტემები უნდა დამუშავდეს ქაფით.

წყარო: ჰოლანდიის ცხოველთა ჯანდაცვის ორგანიზაცია. http://agrotrading.ge

ფერმიდან სუფრამდე

№ 7 - 8.02. 2016

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

ახალი კანონი მომხმარებლის უფლებებს უკეთ დაიცავს

ნატო გუგელაძე, გაზეთი P.S. (პოსტსკრიპტუმი) ქუთაისი.

გახდება თუ არა ფრაზა: „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება" საქართველოში ისტორიის კუთვნილება? - ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა პარლამენტი დაამტკიცებს კანონს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ. კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე მიიღო პარლამენტმა. კანონპროექტი აუმჯობესებს მომხმარებლის უფლებებს გასაყიდი პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან, შეძენილი პროდუქციის დაბრუნებასთან, საგარანტიო პირობებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ამავე დროს, ითვალისწინებს მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას, რასაც ამ ეტაპზე მოწინააღმდეგეები ჰყავს, თუმცა, მისი აუცილებლობა სწორედ რომ ნათლად ჩანს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით დღეს არსებული ვითარების ფონზე.

„ამ ეტაპზე წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებელის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას იმ სექტორებში, სადაც არ არსებობს. ომბუდსმენის ინსტიტუტი უკვე გვაქვს კომუნიკაციებში, ენერგეტიკაში, წყალმომარაგებაში, თუმცა სხვა უამრავი სფეროა კიდევ, სადაც მომხმარებელს დაცვა სჭირდება, "- აცხადებს ევროპის ფონდის პროგრამის უფროსი მენეჯერი ვახტანგ კობალაძე

მომხმარებელთა უფლებები რომ ხშირად ირღვევა, ამის თვალნათლივ წარმოსადგენად საკმარისია, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ მომხმარებლის უფლებების დასაცავად შექმნილ სპეციალურ ვებ გვერდზე (http://momxmarebeli.ge) მომხმარებლის კომენტარებს გაეცნოთ, სადაც მომხმარებლები თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ ჩივიან. სამწუხაროდ, მომხმარებლის დარღვეული უფლებების დაცვა, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, ძალზე რთულია.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის" შესახებ კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში 2015 წლის ივლისში, ევროინტეგრაციის კომიტეტის მიერ მოხდა, თუმცა, მხოლოდ 2016 წლის მარტში მოხერხდა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანა.

კანონმპროექტის შექმნასა და დახვეწაში სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართული, მათ შორის: ევროპის ფონდი, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

რატომ გახდა აუცილებელი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის მიღება,

- ამ საკითხზე პასუხს კანონპროექტის განმარტებითი ბარათი იძლევა, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. კანონპროექტის მიღების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებიდან, განხორციელდეს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში არსებულ რეგულაციებთან დაახლოება. ამრიგად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში."

„ამ ეტაპზე წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებელის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას იმ სექტორებში, სადაც არ არსებობს. ომბუდსმენის ინსტიტუტი უკვე გვაქვს კომუნიკაციებში, ენერგეტიკაში, წყალმომარაგებაში, თუმცა სხვა უამრავი სფეროა კიდევ, სადაც მომხმარებელს დაცვა სჭირდება, - აცხადებს ევროპის ფონდის პროგრამის უფროსი მენეჯერი ვახტანგ კობალაძე, - ომბუდსმენის ინსტიტუტი საჭიროა იმისათვის, რომ მომხმარებელს გაუწიოს უსასყიდლო კონსულტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ასევე, უსასყიდლოდ დაიცვას მისი უფლებები სასამართლოში. გარდა ამისა, ომბუდსმენმა უნდა მოამზადოს მომხმარებელთა უფლებების შესახებ ყოველწლიური ანგარიში და წარუდგინოს პარლამენტს.

კომიტეტებში განხილვისას იყო საუბარი იმაზეც, რომ კანონის სრულყოფილებისთვის საჭიროა შესაბამისი მაკონტროლებელისამსახურის ამოქმედებაც, თუმცა, ამ ეტაპისთვის, ჩემი აზრით, სახელმწიფოს ამის ბიუჯეტი არაქვს.

სჯობს ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდეთ წინ და ჯერ მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტი ავამოქმედოთ."- განმარტავს ექსპერტი

.

რა სარგებელს მიიღებენ მომხმარებლები ამ კანონის ამოქმედებით?

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი განმარტავს, რომ „კანონპროექტით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისათვის პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

სურსათის უვნებლობა

როცა თაფლი საკვებად უვნებელია, თუმცა ნატურალური არ არის

მომხმარებელთა საჩივრის საფუძველზე „საქართველოს სტრატეგიული კვლვებისა და განვითარების ცენტრმა„ საჩივრის გადამოწმების მიზნით, 2015 წლის 25 დეკემბერს "იოლის" ქსელის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა, „შემოქმედის მონასტრის თაფლი" და ლაბორატორიაში ანალიზისათვის გააგზავნა.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, თაფლში შემოწმებული რამდენიმე პარამეტრი იძლეოდა მის ნატურალურობაში დაეჭვების საფუძველს.,. ამიტომ ორგანიზაციამ წერილით მიმართა სურსათის ეროვნულ სააგენტოს თაფლის შესამოწმებლად. მიმდინარე წლის 16 თებერვალს სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული საპასუხო წერილით გაირკვა, რომ მეწარმის მიერ ლაბორატორიაში ჩაბარებული თაფლის ნიმუში აკმაყოფილებს "თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით" გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თაფლი საკვებად უსაფრთხოა, თუმცა, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინფორმაციით, კვების ექსპერტებისათვის ლაბორატორიის დასკვნა მაინც არ არის დამაჯერებელი იმისათვის, რომ თაფლი ნატურალურად ჩაითვალოს (იხ. Momxmarebeli.ge). პროდუქტი ნატურალური არ არის.

როგორც კვების ექსპერტები აცხადებენ, ლაბორატორიიდან მიღებული პასუხით ეს თაფლი ნატურალური არ არის. თუმცა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნორმები დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

მომხმარებლები სურსათის უვნებლობის სტანდარტის დარღვევაზე მიანიშნებენ და სურსათის უვნებლობის სტანდარტის მიხედვით, თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის გადახედვას ითხოვენ.

წყარო: momxmarebei.ge

ეს უნდა ვიცოდეთ

პროდუქტების შენახვის წესი

განსაკუთრებით მალფუჭებადი შემდეგი სურსათია: ხორცის, რძის, თევზის, კულინარული (სალათები, ნახევარ ფაბრიკატები და სხვა) და საკონდიტრო ნაწარმი, ბოსტნეულისა და კვერცხის შემცველი პროდუქტები. ამ სურსათის სიცივის გარეშე შენახვა დაუშვებელია;

* განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6-72 საათი (პროდუქტის სახეობების მიხედვით) არა უმეტეს 6 °C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* უკრემო, ცილის კრემით ან ხილით გაწყობილი ტორტებისა და ნამცხვრების შენახვის მაქსიმალური ვადაა 72 საათი. ნაღების კრემით გაწყობილის 36 სთ, ხოლო მოხარშული კრემით და ათქვეფილი

* ნაღების კრემით გაწყობილის კი 6 საათი. ყველა მათგანი უნდა ინახებოდეს +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* არაქარხნული ხორცის ფარშის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6 საათი +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* სოსისი და სარდელი +2°C-დან +6°C-მდე ინახება არა უმეტეს 48 საათი;

* მოხარშული ძეხვი +2°C-დან +6°C-მდე ინახება 24 საათიდან 72 საათამდე (ხარისხის მიხედვით);

* გაყინული ხორციანი პელმენი 48 საათამდე ინახება არა უმეტეს -5 °C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

* ხორცის შეძენისას დააკვირდით მის ფერს (უნდა იყოს ღია ვარდისფერი, ან ღია წითელი),

* სიმკვრივეს (ზედაპირზე თითის დაწოლისას წარმოქმნილი ფოსო სწრაფად უნდა გაქრეს);

ფერმიღან სუფრამდე

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

ახალი კანონი მომხმარებლის უფლებებს უკეთ დაიცავს

ნატო გუგელაძე, გაზეთი P.S. (პოსტსკრიპტუმი) ქუთაისი.

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ლევან ბერძენიშვილი, - პარლამენტის წევრი.

აგრეთვე, საგარანტიო ვადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ხელშეკრულების შესაბამისი პროდუქციის მიღების დროს, მომხმარებელს უფლება აქვს, პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას უარი ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურება გაწეულია სრულად, პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალფუჭებადიპ როდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტულობა, პროდუქტი განუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქციას, მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ხელშეკრულება დადებულია საჯაროა უქციონისშედეგად, საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე.

მომხმარებელს უფლება აქვს, პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას უარი ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურება გაწეულია სრულად, პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალფუჭებადი პროდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტულობა, პროდუქტიგანუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქციას, მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად, საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე.

რა ვალდებულებებს აკისრებს კანონი ბიზნეს ობიექტებს?

კანონპროექტში მოცემულია სა მომხმარებლოსაქონლისნასყიდ ბისას,მოვაჭრის ვალდებულება, რომ მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულების შესაბამისი საქონელი, ასევე, ჩამოთვლილი ამოთხოვნები, რომლის მიხედვითაც საქონელი ჩაითვლება ხელშეკრულების შესაბამისად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ. საქონლის არასწორი დამონტაჟება უთანაბრდება ხელშეკრულებისპირობებთან საქონლის შეუსაბამობას თუ საქონლის მონტაჟი ხელშეკრულების ნაწილს შეადგენდა. კანონპროექტიადგენს ხელშეკრულების უსამართლო პირობებს იმშემთხვევაში,თუ აღნიშნული პირობები ხელშეკრულების მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანსარწარმოადგენდა. ამ მუხლის მიხედვით,მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს, ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობები განიმარტება მომხმარებლის სასარგებლოდ." – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

რატომ ეწინააღმდეგება კანონს ბიზნესომბუდსმენი?

კანონპროექტს მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს ბიზნეს ასოციაციასა და ბიზნესომბუდსმენს.

ამ საკითხის კომენტირებისას, ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ზურაბ ძნელაშვილმა გვითხრა: - „ბიზნესომბუდსმენის აპარატი,რათქმაუნდა, არ არის წინააღმდეგი, რომ საქართველოში ამაღლდეს მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისდაცვის სტანდარტი და ამ მხრივ, საქართველოსკანონმდებლობა მიუახლოვდეს ევროპულს, მაგრამ არა იმ ფორმით და ვადაში, როგორაც არის ინიცირებულ კანონპროექტში „მომხმარებლის უფლებების დაცვის" შესახებ."

საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა მომხმარებელთა და მეწარმე სუბიექტების ინტერესებს შორის, რათა არ მოხდეს ერთ-ერთის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა მეორის ინტერესების დაცვის ხარჯზე."

ძნელაშვილმა მოგვაწოდა ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიას ხელმოწერილი წერილი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მიმართ, სადაც ჩამოყალიბებულია ბიზნესის პრეტენზიები, კერძოდ,მათ გაუმართლებლად მიაჩნიათ მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება, რადგან ეს გაზრდის საბიუჯეტო ხარჯებს და, ასევე, შესაძლოა, სამომავლოდ იქცეს ბიზნესისთვის დამატებით მაკონტროლებელ ორგანოდ, რომელსაც სანქციების დაწესება შეეძლება.

გარდა ამისა, ბიზნესომბუდსმენი წინააღმდეგია კანონპროექტის მე-15 მუხლის, რომელიც უფლებას აძლევს არასამთავრობო სექტორს, მონაწილეობა მიიღონ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ან სხვა შემთავაზებელსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ასევე, ხელი შეუწყონ სამომხმარებლო დავის მედიაციის საშუალებით მოგვარებას. ბიზნესომბუდსმენისთვის გაუგებარი და მიუღებელია, რატომ უნდა მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები კერძო სუბიექტებს შორის არსებულ დავაში.

ხოლო რაც შეეხება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს ამ კანონის მიღების კუთხით, ბიზნესომბუდსმენი მიუთითებს, რომ საქართველოს აქვს ხუთწლიანი ვადა და ასეთი აჩქარება საჭირო არ არის.

მომხმარებელი კანონპროქტის განხილვაში აქტიურად უნდა ჩაერთოს.

როდის იგეგმება კანონპროექტის განხილვა და მიღება?

კანონპროექტის ინიციატორები ევროინტეგრაციის კომიტეტში განმარტავენ, რომ „ვადები, რომელიც მოცემულია ასოცირების შეთანხმებაში, იძლევა მომხმარებელთა უფლებების სფეროში დინამიური და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი ეტაპობრივია და ითვალისწინებს მომხმარებლის მინიმალური დაცვის საშუალებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში დღეს მოქმედი სტანდარტები სრული სახით ვერ იქნება დანერგილი საქართველოში, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ სფეროს გაუმჯობესებაზე, მომხმარებელთაუფლებების დაცვაზე, შესწავლილი და გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებული ღონისძიებების ჩატარება აუცილებელი და ძალზე მნიშვნელოვანია." - აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

მას შემდეგ რაც, კანონპროექტის პაკეტი განიხილეს სავალდებულო კომიტეტებმა, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომი კურიპოლიტიკის კომიტეტმა, როგორც წამყვანმა კომიტეტმა, პრინციპული შენიშვნებიდან გამომდინარე, ჩაატარა სამუშაო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ, კანონპროექტის ინიციატორი კომიტეტი (ევროპასთან ინტეგრაციისკომიტეტი), სახელმწიფო სტურქტურების, ბიზნესმენთა ასოციაციისა დაარასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სამუშაო შეხვედრაზე გამოითქვა არაერთი როგორც პრინციპული, ისე მუხლობრივი შენიშვნა. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ეს კანონპროექტი იწვევს ცვლილებებს სხვა კანონებშიც. მაგ: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში, საჯარო სამსახურის ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონში და ა.შ.-„რაც შეეხება კომიტეტის პოზიციას, არაერთხელ დამიფიქსირებია, რომ ჩვენ ორიენტირებული ვართ,მივიღოთ სრულყოფილი და ქმედითი კანონი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლის უფლებები იქნება მაქსიმალურად დაცული, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ ბიზნეს სექტორის პოზიციაც. საზოგადოებრივი ინტერესიდან და საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ყველა მხარის ინტერესი. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობაკანონპროექტის ინიციატორთან პროექტის დახვეწაზე." - განაცხადა მან.

„მომხმარებელის უფლებების დაცვის შესახებ" კანონპროექტის შესახებ და მისი ოპონენტების მიმართ თავის კომპეტენტურ აზრს გვიზიარებს ექსპერტ-იურისტი„ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის"აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ბატონი დავითკერესელიძე: - „მიუხედავად იმისა, რომ ეს არის მომხმარებლის უფლებების დამცავი კანონპროექტი, მისი დებულებების დროული ამოქმედება მეწარმის ინტერესებშიცაა და ის წინააღმდეგობა, რომელსაც იგი აწყდება განხილვის სტადიაზე, მხოლოდ მის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულებით გამოწვეული შიშია."

დავით კერესელიძეს მიაჩნია, რომ ის, ვინცწაიკითხავსკანონპროექტს, დაუყოვნებლივმისმხარდამჭერადიქცევა, ვინაიდანისახალისებსკეთილსინდისიერდამოკიდებულებასმეწარმესადამომხმარებელსშორის, ხელსუწყობსპატივისცემაზედამყარებულიურთიერთობისგანვითარებას, როდესაცმწარმოებელიცდაგამყიდველიცფიქრობსიმაზე, თუროგორშეიძლება, იყოსმომხმარებელიკმაყოფილიმათი პროდუქციით.

ფრაზა, - „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება", - საქართველოშიც ისტორიის კუთვნილება გახდება, - აცხადებს იურისტი.

ევროპის ფონდი

GRMA

SWEDEN

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ „ევროპის ფონდის" დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევროპის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

დარეკე და დაიხავი შენი უფლება!

სურსათის ეროვნული სააგენტოს სერვისების, სიახლეების, პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე
საინფორმაციო სამსახური მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით) 09:00 სთ-დან 21:00 მდე.

დარეკეთ მობილურიდან ან ფიქსირებული ქსელიდან:
032 247 - 01 - 01

დაფინანსებული ფართი

"მიზანი გაზიარებული პასუხისმგებლობაა – ესაა განვითარების ვექტორი"

თვითმმართველობის რეფორმის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის მაღალი ხარისხია.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებისათვის შექმნილი კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 22 ივლისს მიიღო, სოფლის/დაბის/ქალაქის საერთო კრებების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საერთო კრება დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და ამ ორგანოების წინაშე ინიციირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს.

დასახლების მცხოვრებლებს საერთო კრებებზე შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე დასვან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები და უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მათ გადაწყვეტაში. კანონში გაიწერა ის პროცედურები, რომლითაც ხდება საერთო კრების მოწვევა და მის მიერ ხელმძღვანელის - რჩეულის არჩევა.

არსებული პრაქტიკით, რომელსაც კვლევები აჩვენებს, სოფლის კრებები, უმეტეს შემთხვევაში, სოფლის დახმარების პროექტების პრიორიტეტების დასადგენად ტარდება. კრებების შედეგების შესახებ სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა გამოცდილება აქვს.

"უმეტესი ნაწილის აზრით, სოფლის კრებები "საჭიროებების შესაფასებლად, პრიორიტეტების განსასაზღვრად" ტარდება, თუმცა ფორმალურად, რადგან მოსახლეობამ არ იცის, როგორ დააყენოს საკითხი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ერთპიროვნულად, რასაც ფორმალურად ესწრებიან თემის წარმომადგენლები.

სოფლის წარმომადგენელთა უმეტესობა არ არის ინფორმირებული, კონკრეტულად რამდენი და რა აქტივობის განსახორციელებლად იხარჯება სოფლის განვითარების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხები. თვლიან, რომ საქმე, რომელიც ამ ფულით გაკეთდა, უხარისხოა და არ ღირს იმდენი, რამდენიც დახარჯა. ის, რომ პროექტების დეტალური ბიუჯეტი მოსახლეობისთვის უცნობია, უნდობლობის საფუძველი ხდება, რასაც სხვადასხვა მაგალითებიც ამყარებს", _ აღნიშნულია **ფონდის "ღია საზოგადოება _ საქართველოს"** მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს იკვლევენ, მიიჩნევენ, რომ არსებული მდგომარეობის შესაცვლელად, პირველ რიგში, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მჭიდრო კომუნიკაცია უნდა შედგეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის ნდობა უნდა დაიბრუნოს და ერთობლივ რეჟიმში დაიწყოს ადგილზე საკითხების გადაწყვეტა.

თუმცა, მთავრობის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ პირველ ეტაპზე, ყველა სოფელში დემოკრატიის დამყარება წარმოუდგენელია.

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი ამბობს, რომ უკვე მიღებულია კანონქვემდებარე აქტები მუნიციპალიტეტებში, რომელიც მრჩეველთა საბჭოებისა და სოფლის საერთო კრებების მოწვევის საკითხებს არეგულირებს; ჯერ ახლა საზოგადოებაზეა:

"კანონში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რომელმაც მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები განსაზღვრა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებთან დაკავშირებით უკვე მიიღეს მუნიციპალიტეტებმა ეს აქტები და ეს საბჭოები თითქმის ყველგან არის შექმნილი. ასევე, ნოემბერ-დეკემბერში აქვთ მიღებული სოფლის საერთო კრებების დებულებები. ახლა უკვე არსებობს სრული სამართლებრივი საფუძველი, რომ უახლოეს მომავალში სოფლის კრებებიც გააქტიურდეს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს მუშაობა, განსაკუთრებით ბიუჯეტის დაგეგმვის დროს. ანალოგიური ვითარება იქნება, როცა სოფლის კრებები ჩამოყალიბდება.

კანონში არსებული ნორმების ამოქმედება ძალიან საშური საქმეა და ამაში სამოქალაქო საზოგადოების როლი განუსაზღვრელია. ამას ცენტრალური, აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ გააკეთებს, რომ მოქალაქეთა აქტიურობას, საინიციატივო ჯგუფების წარმოჩენას შეუწყოს ხელი. სამოქალაქო სექტორმა უნდა იაქტიუროს, განსაკუთრებით რეგიონებში.

ახლა ვაკეთებთ მოკვლევას, სადრა საინიციატივო ჯგუფები და საზოგადოებრივი მრჩეველთა საბჭოები შეიქმნა, შევქმნით ბაზას და უახლოეს მომავალში მოქალაქეთა ინფორმირებისთვის დამატებით ძალისხმევას მივმართავთ.

სოფლის კრებების წელსვე ამოქმედება ყველგან სავალდებულო არ იქნება. გვესმის, რომ 3600-ვე სოფელში ეს ერთიანად ვერ განხორციელდება. ვერც ერთი მთავრობა და სამინისტრო ვერ დაამყარებს დემოკრატიას საქართველოს 3600-ვე სოფელში ერთი ხელის მოქნევით. ამისთვის არსებობს ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოება, ჰყავთ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომ ყველას, მათ შორის მუნიციპალიტეტების წინაშე დასვან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

სახელმწიფო ქმნის საკანონმდებლო ჩარჩოებს და გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს მოქალაქეთა ინფორმირებისთვის, დანარჩენი უკვე საზოგადოების გადასაწყვეტია.

წელს თუ ამ კრებების შეკრება და ამოქმედება სავალდებულო არ არის, გაისად სავალდებულო იქნება", _ აღნიშნავს შერგელაშვილი.

"საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრი დავით მელუა ამბობს, რომ რადგან ძალიან ბევრ მუნიციპალიტეტში ჭირს მოსახლეობის მობილიზება და სასოფლო კრებებზე გამოყვანა, ამ პროცესისთვის არა ფორმალური, არამედ, რეალური სახის მიცემა გაჭირდება:

"ამ მხრივ, შესაძლებელია, იყოს მნიშვნელოვანი სირთულეები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენად ინიციატივიანი იქნება მუნიციპალიტეტი - რადგან არ კეთდება, თავს დაანებებს, თუ მაინც ბოლომდე შეეცდება, სადაც შესაძლებელია, რეალურად ჩაატაროს სასოფლო კრებები. რეალურად, ინფორმირებული არჩევნის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს ხალხს, თუ, წინასწარ ეცოდინებათ, ვინ იქნება არჩეული. კონკურენტულ პირობებში უნდა მოხდეს რჩეულის არჩევა და შემდეგ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სურვილი, მას რეალურად მოსთხოვოს, თუ რა საკითხები დააყენა მან ადგილობრივ თვითმმართველობაში და რა გააკეთა აქედან, რა ვერ გადაიჭრა და რატომ. სადაც ასეთი კრებები შეიქმნება, შეიძლება ითქვას, რომ ეს ადგილობრივი დემოკრატიის პირველი ჩანასახი იქნება. თუმცა, მე ოპტიმისტი არ ვარ და არ მიმაჩნია შესაძლებლად, რომ წელსვე ყველა ერთეულში ასეთი კრებები შეიქმნას", _ აღნიშნავს მელუა.

მისივე თქმით, მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეალური ძალაუფლების მინიჭებაა:

"მოქალაქეთა მონაწილეობა ოლიმპიური თამაშები არ არის, მხოლოდ მონაწილეობა რომ იყოს მნიშვნელოვანი; მთავარი შედეგია. როცა ადამიანი საკითხს წამოწევს ხელისუფლების წინაშე, მიიღებს მონაწილეობას ამ საკითხის განხილვაში, დაესწრება რამდენიმე შეხვედრას, მაგრამ საკითხის გადაჭრა წინ არ წაიწევს და პრობლემა პრობლემად დარჩება, ეს ადამიანი მეორედ აღარ ჩაერთვება ასეთ პროცესში. ჩათვლის, რომ ეს ფუჭი გარჯაა. ამიტომ, მონაწილეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროცესის შედეგიანობა. ჩემი რჩევა იქნება _ მას, ვისაც უნდა საკანონმდებლო ნორმა მოქალაქეთა ინსტიტუციური მონაწილეობის შესახებ აამუშაოს, დიდ საკითხებს ნუ შეეჭიდება: შეეცადონ, ძალიან პატარა პრობლემების გადაჭრით დაიწყონ და მოაგვარონ. ეს ადამიანებს მისცემს მოტივაციას, რომ კიდევ მიიღონ მონაწილეობა და სხვა საკითხებიც დააყენონ. კრებებზე თუ ისეთი საკითხები დაისმება, რომლის მოგვარების თავი არც სოფელს აქვს, არც მუნიციპალიტეტს, არც ცენტრალურ ხელისუფლებას, "კრება მხიარული დარჩება" და მეორედ აღარ შეიკრიბება".

"რეგიონის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი ლიზა სოფრომაძე ამბობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების, სოფლის კრებების ჩატარების და მოსახლეობის დაინტერესებისთვის, მთავარია, მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ნდობა გაჩნდეს:

"უკუკავშირი უნდა იყოს ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რითაც მოსახლეობას გაუჩნდება ნდობა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მის მიერ დაყენებული საკითხის გადაწყვეტას ცდილობს. ხელისუფლებამაც ბევრი უნდა გააკეთოს, რომ მოსახლეობის ნდობა დაიბრუნოს. პატარ-პატარა ნაბიჯებით და პრეცედენტებით შექმნას ეს პროცესი. თვითმიზანი მონაწილეობა კი არ არის, მიზანი სოფლის, ქალაქის განვითარებაა; მიზანი გაზიარებული პასუხისმგებლობაა _ რაც მეტს ფიქრობს საზოგადოება, აანალიზებს, მით მეტად ვვითარდებით. ეს არის განვითარების ვექტორი.

ვერ ვიტყვი, რომ დღეს ძალიან პასიურია ეს აქტივობა. არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილზე ძალიან ბევრ საკითხს აყენებენ, მიმდინარეობს ადვოკატირების პროცესი, სურთ ცვლილებები, მაგრამ საბოლოოდ, ეს ჩვევად რომ გადაიქცეს და სპონტანური ხასიათი არ ჰქონდეს, ამას სჭირდება ხელისუფლების ნება, რომ მას ნამდვილად სჭირდება მოსახლეობის მოსაზრებები, დაანახოს ადგილობრივ მოსახლეობას, თუ რამხელა სარგებელია აქედან ქვეყნისთვის.

როცა ადგილობრივი ხელისუფლება ხალხს ეუბნება, რომ მისი რესურსი მწირია და საჭიროა ერთად მოიფიქრონ, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა ერთმანეთის დახმარებით, ამ დროს მოსახლეობის ინფორმირებაც ხდება და პასუხისმგებლობის გადანაწილებაც. ეს პროცესი ისევ და ისევ ხელისუფლების პოზიციების გამყარებისთვის არის ძალიან კარგი", _ ამბობს სოფრომაძე.

გარდა ამისა, სოფრომაძე ამბობს, რომ სოფლის კრებების შეკრების პროცედურები, რომელიც კანონშია გაწერილი, საკმაოდ რთულია, თუმცა, მოსახლეობის მონდომების შედეგად, გახორციელება შეუძლებელი არ არის:

"თუ კოდექსის იმ თავს ჩავხედავთ, სადაც სოფლის კრებების შეკრებაზეა საუბარი, ნახავთ, რაოდენ რთულია ამის გახორციელება: ჯერ იქმნება საინიციატივო ჯგუფი, შემდეგ ეს ჯგუფი მიდის გამგეობაში, უნდა დაარეგისტრიროს კრების მოწვევა, ასევე ის საკითხებიც, რასაც კრება განიხილავს; შემდეგ უნდა მოხდეს ხელმოწერების შეგროვება და წარდგენა გამგეობაში. კრება ლეგიტიმური რომ იყოს, ამომრჩეველთა 20% უნდა ესწრებოდეს... ჯერჯერობით, არის მცდელობა, რომ სოფლის კრებები იქ ჩატარდეს, სადაც სათემო ან არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან ამ პროცესს.

გარდა ამისა, პროცედურულადაც ბევრი კითხვა ჩნდება; მაგალითად, სოფლის რამდენიმე საერთო კრების ჩატარება როდის ხდება _ როცა ამომრჩეველთა ერთ 20%-ს ეს საკითხი აინტერესებს, დანარჩენ 20%-ს კი სხვა?!

ყველაფრის კანონში გაწერაც არ არის გამოსავალი; თუ უნდა სოფელს ინიციატივა დაყენოს, ამის უფლება აქვს საინიციატივო ჯგუფსაც და ნებისმიერ მოქალაქესაც.

ამიტომ, პროცესი მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ რესურსი _ დროითი, მატერიალური, ადამიანური _ შეზღუდულია", _ აღნიშნავს სოფრომაძე და დასძენს, რომ დღეს ნამდვილად არის მზაობა ხელისუფლების მხრიდან, მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთოს.

ცნობისთვის: კანონის მიღებიდან 7 თვის თავზე, არც ერთი სოფლის მოსახლეობას შეკრების და საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში ჩართვის სურვილი არ გამოუთქვამს, თუმცა, 15 მარტიდან, კრებები საქართველოს რამდენიმე რეგიონში უკვე აქტიურად იკრიბება.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია მომზადებულია პროექტის _
"თვითმმართველობაში სოფლის მოსახლეობის ჩართვის მხარდაჭერა".
პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება _ საქართველო".
შინაარსზე პასუხისმგებელია "საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი".

ფერმერებს სეფრაზე

№ 9 - 10.03. 2016

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

ბაზრობების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოუგვარებელია

ნატალია ცისკარაშვილი, გაზეთი „კახეთის ხმა„

მაღალი რისკის პროდუქტებთან დაკავშირებით, როგორებიც არის ხორცისა და რძის პროდუქტები, „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ" შეთანხმების მიხედვით DCFTA აღებული ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს ვადა 2025 წლამდე აქვს განსაზღვრული.

„ბაზარში ამორტიზებულია დახლები, მწყობრიდან არის გამოსული ინფრასტრუქტურა, ასფალტი აყრილია, წვიმის დროს გუბეები დგება და ტალახის ბუდეა. ბაზარი არანაირ სტანდარტს არ აკმაყოფილებს."

იმისთვის რომ ევროკავშირმა საქართველო სურსათის უვნებლობის მიმართულებით კეთილსაიმედოდ სცნოს, ქვეყანამ რიგი ცვლილებები უნდა განახორციელოს. ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობას ორი მიზანი აქვს - ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

გურჯაანის აგრარული ბაზარი დახურვის საფრთხის წინაშე ბოლო წლების მანძილზე რამდენჯერმე დადგა. მიზეზი შექმნილი არასათანადო პირობები და მეწარმეების პროტესტია. ,,გლეხური ბაზრის" დირექცია აქ არსებული ანტისანიტარიის გამო, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რამდენჯერმე დააჯარიმა, თუმცა, პრობლემა დღემდე არ აღმოფხვრილა. ბაზარში მყოფმა გამყიდველებმა რეკომენდაციებიც მიიღეს. მაგალითად, მეხორცეების მიმართ გაცემული რეკომენდაცია გულისხმობდა ხორცის, ყველის და ნედლი თევზის სარეალიზაციო პავილიონებში ხელსაბანი ნიჟარებით, ცივი და ცხელი წყლით მომარაგებით უზრუნველყოფას.

ბაზრის მფლობელი კი აცხადებს, რომ ადგილზე სამუშაოების განხორციელების უფლებას ადგილობრივი თვითმმართველობა არ აძლევს და აღნიშნულ ფაქტს ბიზნეს საქმიანობაში ხელის შეშლად აფასებს.

,,არ გვინდა, რომ ბაზარი დაიხუროს, მაგრამ ამისი შემაჩერებელი ბერკეტი არ გვაქვს. იმ მდგომარეობამდე, რომელშიც ახლა ვართ, გამგეობამ მიგვიყვანა. სურსათის უვნებლობის სამსახურმა კი უარყოფითი დასკვნა შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე დადო. ბაზარში ამორტიზებულია დახლები, მწყობრიდან არის გამოსული ინფრასტრუქტურა, ასფალტი აყრილია, წვიმის დროს გუბეები დგება და ტალახის ბუდეა. ბაზარი არანაირ სტანდარტს არ აკმაყოფილებს. ყველაფრის შეცვლა და გამოსწორება- შეგვიძლია, მაგრამ ნებართვა უნდა გასცეს გურჯაანის გამგეობამ. ეს ადგილი არის ჩვენი კერძო საკუთრება და გვინდა, რომ გაკეთდეს თანამედროვე ტიპის დახლები, რისი ნებართვაც გამგეობამ უნდა გასცეს, ნებართვას 2013 წლიდან ვითხოვთ, მაგრამ არ დაგვთანხმდნენ", - აცხადებს ბაზრის მფლობელი ნუკრი ლიპარტაშვილი.

გურჯაანის გამგეობის წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, რომ შპს ,,გლეხური ბაზრის" დირექციამ მათ აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ობიექტის დემონტაჟის მოთხოვნით მიმართა, რომელზეც ნებართვა მეწარმეების ინტერესების გამო ვერ გაიცა.

მოვაჭრეების განცხადებით, აუცილებელია მოხდეს ბაზრის ინფრასტრუქტურის განახლება და სისუფთავის დაცვა.

,,ბაზარში არ არის წყალი, კანალიზაცია, გზა და ნორმალური დახლები. ისედაც მთელი დღე სიცივეში ვართ და არ გვაქვს არანაირი პირობა, მაგრამ იმის გამო, რომ პურის საყიდელი ფული გვჭირდება, ვითმენთ. რომ დაიკეტოს ბაზარი, რა უნდა ვქნათ? ამდენი ხალხი შემოსავლის გარე შეროგორ უნდა დავრჩეთ. მოგვხედონ და დაგვეხმარონ," - განაცხადა გურჯაანის ბაზარში მოვაჭრე ლიანა ხმალაძემ.

მსგავსი სიტუაციაა თელავის ბაზარშიც. საზოგადოება ბაზარში სურსათის უვნებლობის სტანდარტების გამკაცრებას წლებია ითხოვს. მოსახლეობა საკვებ პროდუქტს ძირითადად ბაზარში ყიდულობს, სწორედ ამიტომ მათ ერთ-ერთი მთავარ და მოუგვარებელ პრობლემად სწორედ აგრარული ბაზრების საკითხი რჩება.

ჩვენს კითხვაზე, ახდენენ თუ არა მოვაჭრეები დახლების ზედაპირების დეზინფექციას, მათი დიდი ნაწილი ამბობს, რომ დახლებს წყლით წმენდენ.

მომხმარებელი რუსიკო გელიკაშვილი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ბოლო რამდენიმე წელია აგრარულ ბაზარში ბევრი სახეობის პროდუქციას აღარ ყიდულობს.

,,ხორცის, თევზეულისა და რძის ნაწარმის ყიდვა ბაზრებში ძალიან არასაიმედოა, რადგან დაცული არ არის არანაირი ნორმა და სტანდარტი. ღია დახლებზე ერთად უწყვიათ არაერთგვაროვანი პროდუქცია, რაც არასწორია".

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა გასულ წელს მოსახლეობისათვის საკანონმდებლო ცვლილებების გასაცნობად რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. როგორც სააგენტოში აცხადებენ, შეხვედრები სხვადასხვა რეგიონში პერმანენტულად ჩატარდება, რათა საქართველოს მოსახლეობა მომზადებული და ინფორმირებული შეხვდეს იმ ცვლილებებს, რაც უპირველეს ყოვლისა, მისი ჯანმრთელობის დაცვისკენ არის მიმართული.

საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობის სისტემის დასანერგად შემუშავდა, ითვალისწინებს მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი სურსათის მიწოდებას.

სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებითვე, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები არის გარანტი იმისა, რომ ქართველი მომხმარებელი მიიღებს უსაფრთხო და უვნებელ სურსათს, საქართველოში წარმოებულ პროდუქციას კი გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი.

ჯერჯერობით კი ჯარიმების მიუხედავად, ბაზრობებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოუგვარებელია.

ხარაგაულში საქონლის სასაკლაოს არ არსებობა პრობლემას ქმნის

ნინო კაპანაძე,
გაზეთი „ჩემი ხარაგაული„

ხარაგაულში ხორცით მოვაჭრე ერთადერთი მაღაზიის მფლობელ ალეკო ნიქაცაძეს, მესამე წელია, რაც საქონელი დასაკლავად ზესტაფონში მდებარე სასაკლაოში დაჰყავს. ხორცით მოვაჭრე ამბობს, რომ ამით მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი დანახარჯები. სასაკლაოს მოწყობის ძირითადი პრინციპების გამკაცრების შემდეგ ხარაგაულში ვერავინ შეძლო სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისი სასაკლაოს მშენებლობა-გაკეთება.

„ვიდრე სასაკლაოს მოწყობის წესებს შეცვლიდნენ, ხარაგაულში ვკლავდით საქონელს. მას აუცილებლად ამოწმებდა ჩემ მიერ დაქირავებული ვეტერინარი სხვადასხვა დაავადებებზე და, შესაბამისად, მაძლევდა ფორმა 2 საბუთს. ახლა ხარაგაულში ნაყიდი პირუტყვი უნდა წავიყვანო ზესტაფონში, იქ დავტოვო 18-დან 24 საათამდე. დაკვლის, შემოწმებისა და შესაბამისი ფორმა N2-ის მიღების შემდეგ კი სპეციალური მანქანით უნდა წამოვიყვანო ხარაგაულში. ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მე კილოგრამ ხორცს ათ ლარზე მეტად ვერ გავყიდი, იმის გამო რომ ხარაგაულელები მეტის გადახდას ვერ შეძლებენ,"- ამბობს ალეკო ნიქაცაძე.

თუ ხორცით მოვაჭრეს არ აღმოაჩნდება ფორმა N2, ის 1000 ლარით ჯარიმდება, ხორცი კი კონფისკაციას, განადგურებას ექვემდებარება. ალეკო ნიქაცაძე ამბობს, რომ ხარაგაულში რამდენიმე პირიოვნება ოჯახში, საკუთარ ეზოში კლავს საქონელს და ყიდის, თუმცა მას არ სმენია, რომ ამის გამო ხორცით მოვაჭრეები ოდესმე დაჯარიმდნენ.

2016 წლის პირველი იანვრიდან ღორის ხორცის რეალიზაციისას სავალდებულოა ახლდეს ფორმა N2. სავალდებულოა, რომ ცნობა მოვაჭრეს ღორის ხორცზეც უნდა ჰქონდეს.

იმისთვის, რომ მოსახლეობას მიეწოდოს უვნებელი ხორცპროდუქტი, აუცილებელია, საქონელი დაიკლას სასაკლაოზე სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ. ვეტერინარი ატარებს დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ ვეტერინარულ შემოწმებას, და გასცემს შესაბამის ფორმა #2-ს, რომელიცს მოიცავს საქონლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას. ფორმა N2 ადასტურებს, რომ სურსათი უვნებელია და მისი მოხმარება დასაშვებია ,- აღნიშნულია სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 16 სექტემბრის #2-218 ბრძანებაში ,,ცხოველთა სასაკლაოს ტიპობრივი წესის დამტკიცების შესახებ."

სასაკლაოს მოწყობის ძირითადი პრინციპები განისაზღვრა საქართველოს კანონით ,,სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ," საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 იანვრის #173 დადგენილებით „სურსათის/ცხოველთა საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ."

ადგილი, სადაც უნდა აშენდეს ცხოველთა სასაკლაო, სასურველია იყოს დაშორებული საცხოვრებელი სახლებიდან, კომუნალური და სამრეწველო ნაგებობიდან. სასაკლაოს მშენებლობისათვის უნდა შეირჩეს მშრალი, ოდნავ დაქანებული ადგილი წვიმის წყლის გადინებისათვის.

- საწარმოს ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს დაბინძურების ყველა პოტენციური წყარო;
- საწარმოს ტერიტორია მოსახერხებელი უნდა იყოს მყარი და თხევადი ნარჩენების გასატანად.
- ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობები, ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვა მასალა, ასევე დარგული მწვანე ნარგავები, უნდა გამორიცხავდეს სურსათის დაბინძურებას;
- საწარმოს ტერიტორია უნდა სუფთავდებოდეს რეგულარულად.
- საწარმოს ტერიტორია უნდაიყოს შემოღობილი, კეთილმოწყობილი და იზოლირებული, რათა გამორიცხოს საკლავი პირუტყვისკონტაქტი სხვა ცხოველებთან.
- სხვა დეტალური მოთხოვნები, რომელიც დადგენილებაშია გაწერილი, უნდა იყოს შესრულებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხორცის დაბინძურება.

ამ წესების თანახმად, სასაკლაოს ეზოში, ცხოველთა მისაღებ ბაზაში მოწყობილი უნდა იყოს ღია და დახურული შესარეკი ბაკები, სადაც წარმოებს ცხოველების დაკვლისწინა ვეტერინარული შემოწმება. დასაკლავ-დასამუშავებელი დარბაზი და დამხმარე განყოფილებები უნდა მოეწყოს თანმიმდევრულად ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად ისე, რომ გამორიცხოს შემხვედრი ნაკადებისა და მზა პროდუქციის კონტაქტი ნედლეულთან და ტექნიკურ ნარჩენებთან. სასაკლაოს ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით დასაკლავ-დასამუშავებელი ტერიტორიებისათვის აუცილებელია. შესასვლელ და გასასვლელ კართან ეწყობა სპეციალური სადეზინფექციო ბარიერი, აგრეთვე, ავტოტრანსპორტის სადეზინფექციო - გამრეცხი მოედანი.

სასაკლაოს იატაკი უნდა დაიგოს წყალგაუმტარი მასალის - ბეტონის, ან მოპირკეთებული მეთლახის ფილებით, დახრილი შემკრები ტრაპებისაკენ ისე,რომ იძლეოდეს წყლის ბუნებრივი გადინების საშუალებას. ამ პირობების დაკმაყოფილება, ალეკო ნიქაცაძის თქმით, მისთვის ძნელია. ის ამბობს, რომ სასაკლაოს მოწყობა სერიოზულ დანახარჯებს მოითხოვს:

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

ფერმიდან სუფრამდე

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

ჯანმრთელი საქონელი ჯანსაღი პროდუქციის წინაპირობაა

ინტერვიუ

2015 წლის დეკემბრიდან სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოს მასშტაბით აქტიურად ახორციელებს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის საყურე ნიშნებით უფასო იდენტიფიკაცია - რეგისტრაციას. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაციის შემდეგ მონაცემები რეგისტრირდება ელექტრონულ პროგრამაში, რომელშიც თავს იყრის ინფორმაცია ცხოველის ჯანმრთელობისა და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ფერმერებმა უნდა მიმართონ სურსათის ეროვნული სააგენტოს-რეგიონულ ოფისებს ან დარეკონ **ცხელ ხაზზე: 2 47 01 01.**

იდენტიფიკაცია-რეგისტრაცის პროცესი და აღნიშნული ელექტრონული ბაზის არსებობა ფერმერს აძლევს შემდეგ შესაძლებლობებს:

- ჰყავდეს ჯანმრთელი საქონელი;
- ჰქონდეს საკუთრების დამტკიცების შესაძლებლობა;
- გაუადვილდეს საქონლის შეძენა-გაყიდვა, ან მისი პროდუქტების რეალიზება, სერტიფიცირება;
- მომავალში ისარგებლოს იმ პროგრამებით, რასაც მას უფასოდ შესთავაზებს სახელმწიფო
- სახელმწიფოსგან მიიღოს სრულფასოვანი მომსახურება ადამიანისა და ცხოველის საერთო დაავადებების თავიდან აცილების მიზნით
- ჯიშობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა;

აღნიშნულ საკითხებზე უფრო მეტი ინფორმაციის მოსაძიებლად მივმართეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ცხოველთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის სამმართველოს უფროსს, ზვიად ასანიშვილს და დავუსვით რამდენიმე კითხვა.

- ბატონო ზვიად, ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად რა გამოწვევის წინაშეა ცხოველთა ჯანმრთელობისა და იდენტიფიცირების საკითხები?

- ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია საკანონმდებლო დონეზე სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნისათვის. ყველა მესამე ქვეყნისგან, რომელსაც აქვს სურვილი ივაჭროს ევროკავშირთან ცოცხალი ცხოველებითა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციით, უნდა ჰქონდეთ კარგად გამართული ცხოველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა ჯანმრთელობის სტატუსის იდენტიფიკაციას. ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება კი, რა თქმა უნდა, შემოსავალს გაზრდის მწარმოებლისათვის და საინტერესო გახდება მეცხოველეობის სექტორში ინვესტირებისათვის.

- ამჟამად რა ეტაპზეა ქვეყანაში არსებული ცხოველების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის პროცესი?

- ქვეყანაში იდენტიფიკაციის პროცესი 2012 წლის აგვისტოდან დაიწყო, თუმცა უფრო მეტი აქტიურობით და მეტი რაოდენობის თანამშრომლებით დავიწყეთ დღემდე 1,8 მილიონ სულამდე მსხვილფეხა საქონელია იდენტიფიცირებული.

ხოლო 2015 წელს იდენტიფიცირებულია 480 ათასი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილია 400 ათასამდე მსხვილფეხა და 700 ათასამდე წვრილფეხა საქონოლის იდენტიფიკაცია. რა თქმა უნდა ყველა იდენტიფიცირებული ცხოველი დარეგისტრირდება მონაცემთა ბაზაში.

გასულ წელს ეროვნულ დონეზე შევიმუშავეთ მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც ონლაინ-რეჟიმში ხდება იდენტიფიცირებული ცხოველების როგორც რეგისტრაცია, ასევე, მათი დაკვლის შემდეგ ჩამოწერა ამჟამად არსებულ 90-მდე ცხოველთა სასაკლაოზე.

ასევე რძის შემაგროვებელ და რძის გადამამუშავებელ საწარმოებს შეეძლებათ წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად მიიღონ ინფორმაცია საქონლის ჯანმრთელობის შესახებ. ინფორმაციის მისაღებად მათ განაცხადი უნდა გააკეთონ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ ოფისებში.

- რა უნდა გააკეთონ წვრილმა ფერმერებმა იმისათვის, რომ დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და რა ძირითადი საჭიროებები არსებობს ფერმერთა ინფორმირებისა და ჩართულობის თვალსაზრისით?

- უპირველეს ყოვლისა, ფერმერებმა, უნდა ითანამშრომლონ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან. საორიენტაციო გეგმის მიხედვით, „კარიდან კარზე" პრინციპით ფაქტობრივად, ყველა სოფელში ვახორციელებთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაციას.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ფერმერს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია მიიღოს აღნიშნული მომსახურება შემდეგ შემთხვევებში:

ფერმერის საკუთრებაში არსებულ მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა საქონელს არ აქვს საყურე ნიშანი, ანდა ფერმერს ჰყავს ახალდაბადებული ხბო;

ფერმერი გეგმავს საქონლის გადაადგილება/გადარეკვას ზაფხულის, ან ზამთრის საძოვრებზე, გეგმავს მის გასხვისებას;

• საქონლი დაიკლა სახლის პირობებში • საქონელი დაიკარგა, ან დაიღუპა;

სურსათის ეროვნულ სააგენტოს ყველა რაიონულ ცენტრს აქვს ოფისი, რომელსაც უნდა მიმართოს ფერმერმა ან დარეკოს ცხელ ხაზზე და გააკეთოს განაცხადი. განაცხადის გაკეთების შემდეგ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ოფისის წარმომადგენელი ფერმერთან შეთანხმებით დაგეგმავს ვიზიტს ადგილზე და მოახდენს საქონლის იდენტიფიკაციას;

მეპატრონე ფერმერი მიიღებს-საქონლის პასპორტს, სურსათის ეროვნული სააგენტო გააკეთებს შესაბამის ცვლილებას ერთიან მონაცემთა ბაზაში. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ფერმერის მიერ ე.წ. **„სადგომის წიგნაკის"** წარმოება, სადაც ძირითადი ინფორმაცია იწერება სადგომში არსებული ცხოველების შესახებ. ეს ჩანაწერები უმნიშვნელოვანესია ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიკვლევისა და სურსათის უვნებლობის კუთხით.

- გთხოვთ, კონკრეტულად აღწეროთ პროცესი: რა ნაბიჯებია საჭირო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიცირების თვალსაზრისით.

- მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ითვალისწინებს: მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაციას საყურე ნიშნებით; რეგისტრაციას მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში; მსხვილფეხა საქონლის პასპორტიზაციას: წვრილფეხა საქონლის გადაადგილების დოკუმენტის წარმოებას; სადგომის წიგნაკის წარმოებას; მსხვილფეხა საქონლის პასპორტის მომზადებას.

- რა ზომებს ითვალისწინებს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სფეროში ნორმატიული აქტები და რა რეკომენდაციების შემუშავებას გეგმავთ ამ პროცესის სრულყოფისთვის?

- მფლობელის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ ჩვენი მიზანი არაა ჯარიმები, ჩვენი მიზანია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია მფლობელების მხრიდან მხარდაჭერა. მათი მხარდაჭერის მიღწევა კი, ვფიქრობთ, აქტიური საინფორმაციო კამპანიითაა შესაძლებელი, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტო უახლოეებს დღეებში დაიწყებს.

მას შემდეგ, რაც ფერმერი გააცნობიერებს მსგავსი სისტემის სიკეთეებს, ის არავითარ შემთხვევაში არ იქნება წინააღმდეგი თანამშრომლობაზე. სწორედ ამიტომ, ვგეგმავთ უფრო და უფრო აქტიურად ვიმუშავოთ მათთან, როგორც ფერმერებთან, ასევე მწარმოებლებთან, ბიზნესმენებთან და საბოლოო მომხმარებლებთანაც.

ასევე მოვუწოდებთ მათ დაინტერესებისა და თანამშრომლობისაკენ, რამეთუ, ამ სფეროს ქვეყნისათვის სიახლიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია მათი ჩართულობა სისტემის დანერგვის საწყის ეტაპზევე, რომ უფრო სიღრმისეულად იქნას გათვალისწინებული საქართველოს მეცხოველეობის თავისებურებები და რომ უფრო მეტად მოვარგოთ იგი ჩვენი ქვეყნის რეალობას.

- განიხილავთ თუ არა სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებიდან მოწოდებულ ანგარიშებს და რა სტატისტიკა გვაქვს ამჟამად?

- როგორც უკვე აღვნიშნე, ამგვარი სისტემა ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის ძალიან ახალია, როგორც ცხოველთა მეპატრონეებისათვის, ასევე, სახელმწიფოსათვის.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულის გამოცდილება არ გვაქვს და ნაბიჯ-ნაბიჯ ვავითარებთ იმას, რასაც საკუთარი გამოცდილებით ვსწავლობთ. ამდენად, რასაკვირველია, არის გარკვეული სიძნელეები განვითარების ეტაპებზე. სწორედ რეგიონული ანგარიშებით ირკვევა, რომ საწყის ეტაპზე, ისეც ხდებოდა, ჩვენს მიერ დადებულ საყურე ნიშანს მეპატრონეები თვითნებურად აჭრიდნენ.

ეს ყოვლად დაუშვებელია! ამ ეტაპზე მეპატრონე უშუალო ფინანსურ დაინტერესებას ვერ ხედავს და უფრო მეტიც, როგორც ჩანს, არსებობდა ერთგვარი შიში დამატებითი გადასახადის დაწესებისა, თუმცა, მინდა ყველა დავარწმუნო, რომ აღნიშნული ბაზა იქმნება მხოლოდ და მხოლოდ ვეტერინარული მიზნებისათვის. ეს არის გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც წინ უძღვის მესაქონლეობის თანამედროვე ჩარჩოებში განვითარებას, რასაც, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დაჭირდება, მაგრამ საბოლოოდ მაინც მეპატრონის გაზრდილ შემოსავალსა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის უვნებლობაზე აისახება.

- რამდენად მნიშვნელოვანია ბიოუსაფრთხოების თვალსაზრისით ცხოველთა იდენტიფიცირება და რა კეთდება ამ მიმართულებით ქვეყნის მასშტაბით?

- მოგეხსენებათ, რამდენად აქტუალურია ბიოუსაფრთხოების სკითხები დღეს მსოფლიოში. რა თქმა უნდა, არც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება ამ საკითხებში და კარგად ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ცხოველთა ჯანმრთელობაზე კონტროლი, რისი განხორციელებაც შეუძლებელია ისევ და ისევ, ინდივიდუალური მიკვლევადობის გარეშე, რაც გულისხმობს ცხოველის მიკვლევას მისი წარმოშობის, ანუ დაბადების ადგილიდან, მისი ტრანსპორტირების, დაკვლის, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

სურსათის ეროვნული სააგენტო, არსებული რისკების გათვალისწინებით, რეგულარულად ახორციელებს განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებზე მასიურ ვაქცინაციებს. ასევე, იგეგმება ბრუცელოზის საწინააღმდეგო მასშტაბური ღონისძიებები, რომლის დროსაც ცხოველიდან აღებული საკვლევი ნიმუში ინომრება ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით.

ნომრის მინიჭების და საყურე ნიშნით ნიშანდების გარეშე შეუძლებელია ცხოველის გამოკვლევა და დაავადებაზე დადებითი დასკვნის შემთხვევაში მისი უკუ მიკვლევა. ამიტომ, ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივმართავ ცხოველთა მეპატრონეებს, რომ ითანამშრომლონ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან და ხელი შეუწყონ სააგენტოს თანამშრომლებს ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებაში.

ესაუბრა მაია მამულაშვილი

ხარაგაულში საქონლის სასაკლაოს არ არსებობა პრობლემას ქმნის

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ხარჯი დაახლოებით 40-50 ათას ლარს შეადგენს. საამისო თანხა კი მას არ გააჩნია.

„კვირაში ერთ პირუტყვს ვკლავ, ზაფხულობით - სამოთხს. ბოლო სამი კვირაა, დასაკლავი საქონელი ვერ ვიშოვე და ვაჭრობაც შეჩერებულია. სასაკლაოს მოწყობისთვის გაღებული თანხის დაფარვა ხარაგაულში ძალიან გაჭირდება. ამიტომ, მირჩევნია, ნაყიდი პირუტყვი ისევ ზესტაფონში წავიყვანო დასაკლავად შესაბამისი ვეტერინალური ფორმა 2-ის ცნობის მისაღებად,"- ამბობს ალეკო ნიქაცაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 16 სექტემბრის ბრძანებაში ნათქვამია, რომ ქვეყნის თითოეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში აუცილებელია არანაკლებ ერთი სასაკლაოს არსებობა.

შეძლებს თუ არა ხარაგაულში ვინმე ამ ბიზნესის წამოწყებას, ჯერჯერობით უცნობია.

ამ ეტაპზე საქართველოში 90-მდე მოქმედი სასაკლაოა რეგისტრირებული. იმერეთში პირუტყვის სასაკლაოს გარეშე სამი რაიონია დარჩენილი: ხარაგაული, თერჯოლა და და ტყიბული.

სურსათის უვნებლობის სამსახურში კი აცხადებენ, რომ სასაკლაოების გახსნას ბაზარი და მოთხოვნა-მიწოდება დაარეგულირებს.

ევროპის ფონდი
GRMA
SWEDEN

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ „ევროპის ფონდის" დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევროპის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

დარეკე და დაიცავი შენი უფლება!

სურსათის ეროვნული სააგენტოს სერვისების, სიახლეების, პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე
საინფორმაციო სამსახური მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით) 09:00 სთ-დან 21:00 მდე.

დარეკეთ მობილურიდან ან ფიქსირებული ქსელიდან:
032 247 - 01 - 01

ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის უფროსკლასელები სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურისთვის ემზადებიან



სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა 2015 წლის ბოლოს დაიწყო და მასში სხვადახვა სკოლის IX, X, XI და XII კლასელები მონაწილეობდნენ, მათ შორის - ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის N41 საჯარო ფიზიკა–მათემატიკის სკოლის მოსწავლეები.

ოლიმპიადა სამი ნაწილისგან შედგება. I ტურის 27000 მონაწილიდან II -ში 2000 გადავიდა, ისინი 50 ლარიანი ვაუჩერებითა და წიგნით დაჯილდოვდნენ. III ტურში გადასვლა კი მხოლოდ 270 მოსწავლემ შეძლო. მათ შორის. ფიზიკა–მათემატიკის სკოლიდან არიან: მარიამ მაჭარაშვილი (XI კლ.), ლუკა უშვერიძე (XI კლ.), ზექა მარგველაშვილი (XI კლ.), გიორგი სამხარაძე (XII კლ.). მათ 100 ლარიანი ვაუჩერები, ელექტრონული წიგნები და წიგნი „რა არის თავისუფლება“ გადაეცათ.
III ტური2016 წლის აპრილში თბილისში გაიმართება. მონაწილეთაგან აირჩევა 40 საუკეთესო, ხოლო 2 კვირის შემდეგ 20 რჩეული მოსწავლე გამოვლინდება პრეზენტაციის საშუალებით და ისინი დაჯილდოვდებიან ინგლისური ენის შემსწავლელი 1 თვიანი კურსით ევროპაში.
გასულ წელს აღნიშნული ოლიმპიადის გამარჯვებული ფიზიკა–მათემატიკის სკოლიდან გახლდათს ამჟამად XIა კლასელი რევაზ წირღვავა, რომელმაც ოქსფორდის საზაფხულო სკოლაში ინგლისური ენის შემსწავლელი 4 კვირიანი კურსი გაიარა.

მარიამ გუბელაძე

ჩინეთში ღვინის გამოფენაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ლუჭოუში 19-21 მარტს გამართულ ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „Tenth China International Wine Fair (CIADE 2016)“ საქართველო საპატიო სტუმრის სახელით მონაწილეობდა.
გამოფენა გახსნა და შემდგომ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს ქართულ სტენდთან უმასპინძლა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია, რომელსაც უძღვებოდნენ სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გიორგი სიხარულიძე და ჩინეთის ერთ-ერთი წამყვანი სომელიე ქსიუ რენქინგი (Xu renqing).
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების ღვინოები: „მელვინეობა ხარება“, „ბაგრატიონი 1882“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „თელიანი ველი“, „შატო მუხრანი“, „თელედა“, GWS და „ბოლერო“.
სიჩუანის პროვინციის ქალაქ ლუჭოუში (Luzhou) ვიზიტის დროს, საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, შედიოდნენ კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი და თელავის ვიცე-მერი ლევან ლილუაშვილი. სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ქართული დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.
ამავე კვირაში ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო ჩინეთის კიდევ ერთ გამოფენაზე -სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში, სადაც 21-26 მარტს ღვინისა და კვების საერთაშორისო გამოფენა „The 94th China Food & Drinks Fair“ გაიმართა.
ჩინეთის ბაზარი ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით ერთ-ერთი სტარტეგიული ბაზარია. 2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით - ზრდამ 2014 წელთან შედარებით, 122%-ს მიაღწია. სულ ექსპორტირებული იყო 2 672 154 ბოთლი (0,75 ლ).

სამოქალაქო საზოგადოება და გენდერული პოლიტიკა საქართველოში

კვლევა თემაზე „სამოქალაქო საზოგადოება და გენდერული პოლიტიკა საქართველოში“ , მეწარმე ქალთა ფონდის მიერ, ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „გენდერული პოლიტიკა და ევროინტერგაცია - ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის“ ფარგლებში განხორციელდა.

პროექტი ითვალისწინებს ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვაკეთისა და პოლონეთის გამოცდილების გაზიარებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ორი ქვეყნის - საქართველოსა და უკრაინისთვის.
პროექტის ერთ-ერთი ეტაპი იყო კვლევა თემაზე „სამოქალაქო საზოგადოება და გენდერული პოლიტიკა საქართველოში“.
„მეწარმე ქალთა ფონდი“ არის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თავისი საწყისი ეტაპიდან (2003 წლიდან) მიზანმიმართულად მუშაობს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის.
ორგანიზაცია არაერთი წელია მოღვაწეობს ქალთა მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად და მათი თვითშეფასების ამაღლებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; ხელს უწყობს ქალებს, მათი მოტივაციის გაძლიერებით, გაუჩნდეთ ამბიცია (ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით), გახდნენ სრულფასოვანი მონაწილენი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
სიტყვა „გენდერი“, არც თუ დიდი ხნის წინ, საზოგადოებაში აღშფოთებას თუ არა, ირონიას მაინც იწვევდა და, სამწუხაროდ, არა მარტო მამაკაცებში. დღეს ასეთი ადამიანები სულ უფრო მცირე რაოდენობით გვხდებიან და ამას, უნდა ითქვას, სახელმწიფო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი.
გენდერული თანასწორობა ბოლო პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის არეალში მოხვდა და ამან, რასაკვირველია, იქონია ზეგავლენა საზოგადოებაზეც და განსაკუთრებით პოლიტიკურ პარტიებზე, რადგანაც სულ ახლო წარსულში პოლიტიკური პარტიები, მათი ლიდერები, ნაკლებად აღიარებდნენ პრობლემებს საქართველოში გენდერული თანასწორობის პროცესში და ხელს იშვერდნენ ქალების სოციალური პრობლემებისკენ.
არ შეიძლება აქვე არ ავღნიშნოთ არასამთავრობო ორგანიზაციების ღვაწლი გენდერული საკითხების წინწამოწევაში და საზოგადოების გათვითცნობიერებაში, რომ დემოკრატია გენდერული თანასწორობის გარეშე არ არსებობს და საჭიროა ქალი განხლული იქნეს არა მხოლოდ როგორც სოციალური პოლიტიკის საგანი, არამედ როგორც სრულფასოვანი მონაწილე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისა.
განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი „გენდერული თანასწორობის ქსელის“ მუშაობას, რომელიც მოიცავს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონს (ქსელი დააფუძნა მანანა მებუკემ). ქსელი ინტესიურად მუშაობს იმისათვის, რომ მეტი ქალი მოვიდეს პოლიტიკაში და ამაში მას ხელს უწყობს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია IFES.
კვლევის - „სამოქალაქო საზოგადოება და გენდერული პოლიტიკა საქართველოში“ - მთავარ მიზნად მიჩნეულია საზოგადოების ინფორმირება გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და აღებული საერთაშორისო ვალდებულებების და იმ შესაძლებლობების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის წინსვლას პრობლემის გადაწყვეტის გზაზე.
კვლევა ეხება როგორც წარსულის გაკვეთილებს, ასევე იმ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს დღეს საქართველოში; სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპებს; ასევე, პარალელურად, გენდერული პოლიტიკის მიახლოების იმ სტანდარტებთან, რომელიც არის მიღებული ევროპის ქვეყნებში და რისი ვალდებულებაც აქვს საქართველოს აღებული.
კვლევაში განიხილება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია 1990-ანი წლების პოლიტიკური სისტემის თავისებურების კონტექსტში, ანუ საქართველოში საბჭოთა წყობის გაუქმების შემდგომ.
სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, საზოგადოებაში ძირითადად დომინირებდა განწყობა - ეროვნული სახელმწიფოს „აღდგენა“ და მთავარი ლოზუნგიც იყო „ჯერ - დამოუკიდებლობა, შემდგომ - დემოკრატია“. ამან დიდი განსაცდელი მოუტანა ქვეყანას შიდა კონფლიქტების სახით და სწორედ ამან, თავისთავად, შეაჩერა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ამ პერიოდისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახშიც კი არ იყო ფორმალიზებული ისეთი მნიშვნელოვანი რგოლი საზოგადოებისა, როგორიც არის არასამთავრობო ორგანიზაციები. მხოლოდ 90-ანი წლების შუა ხანში შეიცვალა მდგომარეობა საგრძნობლად. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სამოქალაქო აქტივობების ინსტიტუციური გარემოს შექმნის წინაპირობა და ამ პერიოდიდან იწყება ადამიანების თავისუფალი გაერთიანების ეპოქა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში. ამან კი შეუწყო ხელი, უფრო ადვილად მიეღწიათ მიზნებისთვის, რომელიც ემსახურება არა მარტო გარკვეულ ჯგუფებს, არამედ მოაქვთ სარგებელი ყველასთვის და რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ყველამ, ამა თუ იმ სახით.
მიუხედავად საყოველთაოდ დეკლარირებული პოლიტიკური ნებისა, არსებული საკანონმდებლო ბაზისა, საქართველოში რეალურად არსებობს გენდერული დისბალანსი, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.
საინტერესო პრეცენდენტს ქმნის ადგილობრივი „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები“, კიდევ უფრო - გენდერული საბჭოების პოზიტიური მაგალითებიც, რომელიც ამ რგოლის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობაა, და რაც მთავარია, „ქვემოდანაა ინიცირებული“, მათ შორის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.
ასეთი ინიციატივები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს კურსი ევროინეგრაციისაკენ აქვს აღებული.
ეს ის დროა და ის შემთხვევა, როდესაც საზოგადოებრივმა სექტორმა უნდა მოახდინოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსის მობილიზება ამ ახალი სტრუქტურების გასაძლიერებლად, რაც გააჩენს გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებს.
მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გენდერულ საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა, სრული გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლების მსოფლიო სტანდარტებით შეუზღუდავი რეალიზაციისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.
ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევით და ერთმანეთზე ზემოქმედებით, როცა სამოქალაქო საზოგადოება ეხმარება სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუციაბის დამკვიდრებაში, ხოლო სახელმწიფო თავისი მოქმედებით ცდილობს განავითაროს სამოქალაქო საზოგადოება, გააძლიეროს სხვადასხვა (განსაკუთრებით ქალთა) სამოქალაქო ჯგუფები, და დაგეგმოს მათთან თანამშრომლობის გრძელვადიანი პერსპექტივები.

მერი გელაშვილი
მეწარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე, პროექტის დირექტორი